სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 26 ივნისი 2003 №117 (1888) | ფასი 50 თეთრი

კობიაშვილმა 04 და ჰაინკესი გაიცნო შალკეს ქართველი ახალ სახლშიც შინაურია

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე

ქინქლაძე გერმანულ ფალლაზე

გიო ცხვრის ტყავში გახვეული მგელია?

ორშაბათს შესაძლოა გითხრათ, რომ გიორგი ქინქლაძე „ვოლფსბურგში“ ითამაშებს — გვამცნო ბერძენმა შუაკაცმა პარის პროდომისმა, რომელიც გიორგის თხოვნით ამჟამად მის ტრანსფერზე მუშაობს და სწორედ ორშაბათს „ვოლფსბურგს“ ეწვევა.

გერმანელ „მგლებს“ ქინქლაძისთვის გუნდიდან შტეფან ეფენბერგის წასვლის მერე, ჯერ კიდევ გიოს „ცხვრობისას“ დაუდგამთ თვალი და სეზონის დასრულებისთანავე პროდომისთან დაუჭერიათ საქმე. ბერძენი და ვოლფსბურგელები სატელეფონო საუბრისას სიტყვიერად კი შეთანხმებულან, მაგრამ საკონტრაქტო პირობების წვრილად განხილვა ორშაბათისთვის დაუთქვამთ. ერთი სიტყვით, დიდი შანსია, გიორგი ქინქლაძემ ინგლისური პრემიერლიგისა და ჰოლანდიის პირველი დივიზიონის მერე გერმანულ ბუნდესლიგასაც გაუგოს გემო.

იხილეთ მეორე გვერდი

გიორგი ქინქლაძის ფოტო

ამბიციების რეალიზაცია

რაში სჭირდება რეალს ასტრონომიის მასწავლებელი?

წლევანდელი ივნისი „რეალისაა“. „რეალმა“ იყიდა დევიდ ბექემი. „რეალმა“ მოიგო ჩრიმერადივიზიონი. „რეალმა“ გაუშვა ვისენტე დელ ბოსკე. „რეალმა“ გაუშვა ფერნანდო იერო... თითქოს ამხელა საფეხბურთო სამყაროში სხვა გუნდი აღარ იყოს – „რეალი“, „რეალმა“, „რეალს“...

REUTERS მაფრინდიდან

გუშინ კარლოს კეირუში „რეალს“ ორ წელსა და ორ მილიონ ევროზე გაურიგდა

გუშინ „რეალმა“ ახალი მწვრთნელი დანიშნა, კარლოს კეირუში, რომელიც აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედში“ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე, ფაქტობრივად კი, მწვრთნელი იყო. ინგლისელები ამბობენ, რომ კეირუში უთუოდ დააკლდება „იუნაიტედს“, ისევე როგორც ბექემი.

მაგრამ უფრო საინტერესოა, რას აპოვნინებს კეირუში „რეალს“. უფრო სწორად, ვის აპოვნინებს — კეირუშს ხომ დიდ ფეხბურთელთა აღმოჩენის სახელი აქვს. თავის დროზე მისი აღმოჩენილია ლუიშ ფიგუ, რუი კოშტა და მთლიანად პორტუგალიელთა მთელი „ოქროს თაობა“.

და ვინლაა აღმოსაჩენი „რეალში“? რაული, რონალდო, ზიდანი, რობერტო კარლოსი თუ ბექემი? ისინი ხომ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს...

ვინძლო, „რეალმა“ იცოდეს, რა უნდა კეირუშისგან და კეირუშმაც იცოდეს, რისი გაკეთება უნდა ამ დიდვარსკვლავებისგან.

პირველი დღე, პირველი ნაცნობობა, პირველი ვარჯიში... განცდა... ყველაფერი პირველი, საინტერესო და მნიშვნელოვანი... გუშინ ლევან კობიაშვილის პირველი დღე, პირველი ვარჯიში იყო გელზენკირხენის „შალკეში“, გერმანიის ერთ-ერთ სახელიან კლუბში. ლევანისთვის „შალკე“ სხვა რამითაც პირველია, მას ამ დონის გუნდში ჯერ არ უთამაშია. იყო რუსთავის „მეტალურგი“, „დინამო“, „ალანია“, „ფრაიბურგი“. გუშინდლიდან კი არის „შალკე“, რომლის ჩამოთვლილ კლუბებთან მოტანა, მეტი რომ არ ვთქვათ, იქნებ უხერხულიცაა...

ერთი სიტყვით, კობიაშვილი „შალკეში“ — დღე პირველი. ლევანს წუხელ სასტუმროში დავუკავშირდით

გუტენ მორგენ!

კობიაშვილმა შალკე გაიცნო

— მთელი გუნდი დილით ბაზაზე შევიკრიბეთ და ათი-ოცი წუთი კლუბის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელს ველოდით. რუდი ასაურმა იუპ ჰაინკესი თან იახლა და წარმოგვიდგინა — გვითხრა ლევანმა — ყველამ კარგად ვიცოდით ჰაინკესის წარმატებული სამწვრთნელო კარიერის შესახებ, თუმც ასაურმა დაახლოებით ნახევარი საათი მის დახასიათებას მოანდომა. შემდეგ თავად მწვრთნელი გაგვეცნო, სათითაოდ ჩამოგვიარა, მოგვესალმა და მიზნებზე გველაპარაკა. პირველი ვარჯიში მსუბუქი, ერთსაათიანი იყო, ხვალიდან კი მზადებას სერიოზულად ვიწყებთ. დღეში ორჯერადი ვარჯიშები და მისთანები.

— მზად ხარ, ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე?

— ყველაფერი კარგადაა. მთელი შვებულება მკურნალობას მოვანდომე. გელზენკირხენში ჩამოსვლამდე ფრაიბურგელმა ექიმებმა შემამოწმეს და აქეთ გულდამშვიდებული გამომიშვეს.

— პირველი დღე. პირველი შეხვედრა „შალკესთან“. ყველაზე მეტად რა გეცნაურა, რამ გაგაკვირვა...?

— ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუ გუნდის პირველ ვარჯიშს 7-8 ათასი ქომაგი დაესწრებოდა. ვერ გადმოგცემთ, რა ხდებოდა ბაზაზე. მონატრებულ გუნდს ქომაგობა ძალიან თბილად დახვდა. გაგვამხნევეს, წარმატება გვისურვეს. საერთოდ, რურის მხარე ქომაგობით მთელს გერმანიაშია გამორჩეული, „შალკეს“ კი ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს.

— ქომაგობა ალბათ გიცნობდა...

— ვარჯიშის მერე მათ ალყაში მოვექეცი, ავტოგრაფებიც ბლომად ჩამოვარიგე და ბევრი თბილი სიტყვაც მოვისმინე.

— ჰაინკესთან პირისპირ არ გისაუბრია?

— არა, როგორც ყველა, მას პირისპირ წუთით შევხვდი, ერთმანეთი გავიცანით.

— რომელიმე თანაგუნდელთან დაახლოება თუ მოასწარი?

— თითქმის ყველას ვიცნობდი და ყველა მიცნობდა. აქამდე ხომ ბუნდესლიგაში ოთხი სეზონი მაქვს ნათამაშები და ამ ბიჭებს მოედანზე ხშირად შევხვედრილვარ. გამორჩეული ურთიერთობა ჯერ არავისთან მაქვს, დღეს ერთი-ორი სიტყვა გავუცვალეთ ერთმანეთს.

— ენის პრობლემა არ გექნებოდა...

— ეგ პრობლემა კარგა ხანია არ მაწუხებს.

— კლუბის ხელმძღვანელობამ, მწვრთნელმა რაო, რა მიზანი გვაქვსო?

— სამეულში მოხვედრა. საამისო პოტენცია „შალკეს“ ნამდვილად აქვს. ჰაინკესს სადაც კი უმუშავია, ყველგან გარკვეული წარმატებისთვის მიუღწევია და იმედოვნებს, არც „შალკე“ იქნება მის კარიერაში გამონაკლისი. ჩვენც გვჯერა, რომ



ბაადრე ჯეფლაბის ფოტო

სამეული მიუწვდომელი მიზანი არ არის. „შალკე“ დიდი გუნდია, დიდი სხვაობაა, ვთქვათ, „ფრაიბურგსა“ და ჩემს ამჟამინდელ გუნდს შორის და მეც ძალიან მსურს აქ დიდ წარმატებას მივაღწიო.

კოტა ინასარიძე

ქინქლაძე ახალ სატრანსფერო ტალღაზე

უეფენბერგი ვოლფსბურგი გიომ უნდა ათამაშოს

გიორგი ქინქლაძეს ახალი მსურველი გამოუჩნდა, მის გადაბირებას ბუნდესლიგის „ვოლფსბურგი“ ცდილობს. ცდილობს კი არა, გერმანელები ისე არიან დაინტერესებულნი, რომ უკვე ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო წარმომადგენელი პარის პროდომისი საკონტრაქტო დეტალებზე სალაპარაკოდ მიიწვიეს. პროდომისისა და ვოლფსბურგელთა შეხვედრა ორშაბათსაა დაგეგმილი და, შესაძლოა, გიოს ამ კლუბში გადასვლაც იმ დღესვე გადაწყდეს. ყოველ შემთხვევაში, პროდომისი გერმანელებს ტელეფონით უკვე ესაუბრა და ამ საქმის ნახევარი მოგვარებული აქვს.

ეს ამბავი და სხვა საინტერესოც გუშინ თავად პარის პროდომისმა გვითხრა, როცა გერმანიაში დავუკავშირდით

ბაადრე ჯეფლაბის ფოტო

— გავიგეთ, რომ ამჟამად გიორგი ქინქლაძის ტრანსფერზე მუშაობთ...

— დიახ, ასეა. ცოტა ხნის წინ გიორგიმ მთხოვა, ახალი კლუბის მოძებნაში დავხმარებოდი. ახლა სწორედ ამ საქმით ვარ დაკავებული.

— ქინქლაძით ბუნდესლიგის „ჰამბურგი“ დაინტერესდა?

— „ჰამბურგიც“ და „ვოლფსბურგიც“.

— „ვოლფსბურგი“ სიახლეა...

— ამ გუნდს გამთამაშებლის პრობლემა აქვს. ალბათ იცით, რომ „ვოლფსბურგი“ ეფენბერგმა დატოვა და ახლა მის შემცვლელს ეძებენ.

— რამდენად სერიოზულია ამ გუნდის დაინტერესება?

— „ვოლფსბურგი“ ძალიან მოწადინებულია და დიდი შანსია, ქართველი ფეხბურთელი სწორედ ამ გუნდში გადავიდეს. ტელეფონით უკვე ვესაუბრე გუნდის ხელმძღვანელებს, რამდენიმე საკითხზე შევთანხმდით, ორშაბათს კი მათ პირისპირ დაველაპარაკები, თავიანთ ოფისში მიმიწვიეს. ვნახოთ, ქინქლაძის ახალი გუნდის ვინაობა შესაძლოა, ორშაბათსვე გაცნობოთ.

— „ჰამბურგს“ რატომ არ ახსენებთ?

— ვახსენებ, მაგრამ რაც უფრო მოსალოდნელია, იმას გეუბნებით. ქინქლაძე ისეთი ფეხბურთელია, რომ მისი გადაბირება ბევრ გუნდს სურს. ამათგან კი ყველაზე მეტად სწორედ „ვოლფსბურგი“ აქტიურობს.

— „ჰამბურგი“, „ვოლფსბურგი“... კიდევ?

— ქინქლაძეს ბერძნული კლუბებიც ეპატიჟებიან.

— კერძოდ, რომლები?

— საბერძნეთში სულ ორი გუნდია: „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“. თუმც ისინი ამჟამად სხვა ტრანსფერებით არიან დაკავებულნი. „პანათინაიკოსს“ გვარდიოლა სურს, „ოლიმპიაკოსს“ კი ჯოვანი, ზე ელიასი და რივალდო.

— რივალდო?

— დიახ, „ოლიმპიაკოსს“ ძალიან უნდა რივალდოს შეძენა, მაგრამ „მილანს“ სატრანსფერო თანხაზე ვერ უთანხმდება. „მილანი“ რივალდოს სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვს. ბერძნები კი ამის ნახევარს იხდიან. მოკლედ, ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

— და ქინქლაძისთვის არ სცალიათ?

— საბერძნეთში გადასვლა მაინცდამაინც არც ფეხბურთელს სურს.

— ესე იგი, ორშაბათს დაველოდოთ?

— ორშაბათს შესაძლოა გითხრათ, რომ ქინქლაძე „ვოლფსბურგში“ ითამაშებს.

კოტა ინასარიძე

ბაადრე ჯეფლაბის ფოტო

სხვა საქართველო საღ არის?

ხომერიკმა სამშობლო აირჩია

დასრულდა ლევან ხომერიკის შვეიცარიული კარიერა. ქართველი თავდამსხმელი სეზონის დასრულებისთანავე ეძებდა სასურველ კლუბს, მაგრამ იმედი გადაეწურა.

— უკვე გადავწყვიტე, რომ საქართველოში მოვდივარ. აქ დარჩენას აზრი არა აქვს. კლუბის მოძებნა ძალიან რთულია და თან ვიზაც მიმთავრდება. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღეში საქართველოში ვიქნები. სხვა გზა არც დამრჩენია — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა, შვეიცარიაში რომ შევეხმიანეთ.

ქართულ კლუბებსაც უკვე თამამად შეუძლიათ ხომერიკის გადაბირებაზე იფიქრონ, თუმც თავად ფეხბურთელს ჯერ ვერაფერი გადაუწყვეტია: „თუკი რომელიმე კლუბი წინადადებით მომმართავს, აუცილებლად დავფიქრდები, მაგრამ ჯერ ამაზე ფიქრს არ ვაპირებ. ძალიან დავიღალე, რამდენიმე დღე დავისვენებ და ახალ კლუბზე მერე ვიზრუნებ“.

ერთი სიტყვით, ხომერიკის უცხოური კარიერა მეტად უიღბლოდ დასრულდა. ვნახოთ, რომელი ქართული კლუბი ისურვებს მის გადაბირებას.

ძახა შალამბერიძე

საბომ ლომაიას შანსი არ დაუტოვა

ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარის, გიორგი ლომაიას ტრანსფერზე ამ ბოლო ხანს ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. ყველაზე რეალური ლომაიას კიევის „დინამოში“ გადასვლა ჩანს. ჩვენებური რამდენიმე დღის წინ უკრაინაშიც გახლდათ და იქაურ „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისს შეხვდა. თუმც ისიცაა, რომ კიელებს ორი საკმაოდ ძლიერი მეკარე ჰყავთ — ალექსანდრ შოვკოვსკი და ვიტალი რევა. აი, სწორედ ასეთი კონკურენციის დაძლევა მოუწევს ლომაიას. გიორგის პოზიციაც ჩვენთვის გასაგებია, უკრაინელებს მოსაფიქრებლად დრო სთხოვა.

ვფიქრობთ, ამ ამბავში უკეთ გასარკვევად „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტ *ოუეფ საბოს* კომენტარიც დაგვეხმარება, რომელიც ჩვენდა გასაკვირად, ოდნავ სკეპტიკურად უყურებს ქართველი მეკარის კიევში გადაბარგებას:

— ლომაია კლუბის პრეზიდენტს შეხვდა და ესაუბრა. მან უკვე იცის, რომ ახლა „დინამოს“ ორი მაღალი დონის მეკარე ჰყავს, რომლებიც ამავდროულად უკრაინის ნაკრებშიც თამაშობენ. ამიტომ გიორგის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი გარჯა მოუწევს. ლომაიამაც მოსაფიქრებლად დრო გვთხოვა. ეს არც გამკვირვებია. გასაგებია, რომ ამ ბიჭს თამაში სწყურია, მაგრამ ვინ მისცემს ამის ასპროცენტიან გარანტიას? ამიტომ ვფიქრობ, მისი „დინამოში“ გადმოსვლის შანსი არც ისე დიდია.“

ჩვენ კი გეტყვით, რომ დღეს კიევის „დინამომ“ ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება დაიწყო.

ძახა შალამბერიძე

ფეხბურთი

XI ტური

ჯალმსტადი 3:1 ჰამარბი

საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა კალენდარი

კალენდარი

დღენაკლული ტურები მალე შეივსება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცებმა უმაღლესი ლიგის გუნდების წარმომადგენლები მიიწვიეს. ამჯერად შეკრების მიზეზი მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის დამტკიცება იყო. ფედერაციას ოდენ ცხრა გუნდის წარმომადგენელი ესტუმრა, შეკრებას „ვიტ ჯორჯიას", „ბათუმისა" და „კოლხეთის" თავკაცები გაურკვეველი მიზეზების გამო დააკლდნენ.

საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელებმა, გია ძამუკაშვილმა და ნოდარ კაკულიამ, სტუმრებს ახალი ჩემპიონატის განახლებული დებულებები ჩამოურიგეს და ძირითადი ცვლილებებიც შეახსენეს, რაზეც აქვე მოკლედ გეტყვით: ჩემპიონატი 26 ივლისს დაიწყება; ფიფას შარშანდელი წესი — უცხოეთიდან დაბრუნებულ ქართველ ლეგიონერებს ადრე ნებისმიერ დროს რომ შეეძლოთ რომელიმე კლუბში გაწევრიანება, ახლა აკრძალულია; ფეხბურთელს უფლება აქვს, სეზონში მხოლოდ ერთ კონკრეტულ კლუბში ითამაშოს, გამონაკლისი მხოლოდ იჯარის წესით განათხოვრებაზეა; ფარმ-კლუბებს აეკრძალათ დავით ყიფიანის სახელობის თასზე თამაში; უმაღლესი ლიგიდან ბოლო ორი უარესი შედეგის მქონე გუნდი ვარდება, ხოლო მე-9 და მე-10 ადგილებზე გასულები პლეი ოფში პირველი ლიგის მე-3-4 ადგილოსნებს შეხვდებიან; პირველი ლიგა ვახსენეთ და აქვე ვთქვათ — ახალ სეზონში პირველი ლიგიდან ერთბაშად ხუთი გუნდი გავარდება, მათ ნაცვლად კი რეგიონლიგის სამი რჩეული ალზევდება ანუ, როგორც მიხვდით, მომდევნო 2004-05 წლების სეზონში პირველი ლიგა თოთხმეტგუნდიანი იქნება; საქართველოს თასის მატჩებში იმოქმედებს ახლახან დანერგილი „ვერცხლის გოლის" წესი.

აი, ძირითადად ეს ცვლილებები მოხდა მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის და ახლა საამსეზონო კალენდარზეც ვთქვათ. ტრადიციულად, პირველი ნომერი ქვეყნის ჩემპიონს, თბილისის „დინამოს" ერგო. გუნდების წარმომადგენლებმა ნომრები სხვა დანარჩენებსაც ჩამოურიგეს და ლოტოტრონის დახმარებით კალენდარიც შედგა. ჯერჯერობით მხოლოდ თარიღები დარჩა დასაზუსტებელი, რასაც ნოდარ კაკულიას თქმით, სამ დღეში მოაგვარებს. პირველი ტური ორ დღეზე, 26-27 ივლისზე განაწილდება. სხვათაგან გამოსარჩევი წყვილი „ლოკომოტივი" — „სიონია", მეორე ტურში კი ქართული „კლასიკო" გველის: თბილისის „დინამო" ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს.

ბაჩა შალამბერიძე

პირველი ტური

26-27 ივლისი

დინამო თბ. — ლაზიკა ზუგდიდი
ტორპედო ქუთაისი — ბათუმი
კოლხეთი ფოთი — დილა გორი
ვიტ ჯორჯია თბ. — მცხეთა
ლოკომოტივი თბ. — სიონი ბოლნისი
მერცხალი ოზურგეთი — თბილისი

მეორე ტური

2-3 აგვისტო

ლაზიკა — თბილისი
სიონი — მერცხალი
მცხეთა — ლოკომოტივი
დილა — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — კოლხეთი
დინამო — ტორპედო

მესამე ტური

9-10 აგვისტო

ტორპედო — ლაზიკა
კოლხეთი — დინამო
ვიტ ჯორჯია — ბათუმი
ლოკომოტივი — დილა
მერცხალი — მცხეთა
თბილისი — სიონი

ლადო ბურდული და ვახტანგ ხვადაგიანი ახალ სეზონში უკვე მეორე ტურში შეხვდებიან ერთმანეთს

სერგო ჭურაძე ის მეკარეა, ვინც ლეგიონერის მაისურა სულ ახალგაზრდამ მოირგო. 1995 წელს ლანჩხუთის „გურიადან" წასული 18 წლის ჭურაძე ბულგარულ „ლოკომოტივში" ჩაირიცხა. იქაური უმაღლესი და პირველი ლიგა დააჭაშნიკა და სამწლიანი განშორების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

მანამდე ერთ გუნდში დიდი ხნით დაფუძნებული არ გვახსოვდა, „ვიტ ჯორჯიაში" კი ხუთი საფეხბურთო სეზონი გაატარა. ამ ხნის მანძილზე ქართული ვერცხლი და ბრინჯაო მოინაგრა. ვეტერინართა რიგებში ევროსარბიელზეც მოსინჯა ძალა. ბევრს იქნებ დღესაც ახსოვს „ეროვნულზე" ავსტრიულ „რიდთან" თავგანწირვით მოთამაშე ჭურაძე, რომელმაც გოლის გაშვება ცოცხალი თავით არ ინება და სტუმართა ძლევაში ლომის წილი დაიდო.

ჭურაძე თავის დროზე ახალგაზრდული გუნდის კარშიც მდგარა, ეროვნულის კანდიდატადაც ითვლებოდა, მაგრამ ნელ-ნელა საკლუბო პრაქტიკა მოაკლდა და სათადარიგო მეკარედ იქცა.

ზოგი ხასიათს უწუნებდა, ზოგიც გამოსვლაზე თამაშს, მაგრამ მის ნიჭიერებას და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ყველა აღიარებდა. დღეს 26 წლის ქართველი მეკარის საფეხბურთო კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. „ვიტ ჯორჯიაში" ხუთწლიანი თამაშის შემდეგ სერგო ჭურაძე ისევ უცხოეთს ეშურება. ისეთ ასაკშია, როცა მეკარეებს ოქროს ხანა ეწყებათ, დანარჩენს კი თავად მოგახსენებთ. ცოტა წარსულზე, ცოტაც აწმყოზე, ხოლო მომავალზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ, შეგვპირდა

ჭურაძის ოქროს ხანა

სერგოს ვერცხლი და ბრინჯაო ეცოტავა

— ბოლო დროს ხშირად გვესმის, ჭურაძე „ვიტ ჯორჯიადან" მიდისო. იქნებ გაგვიმხილო, საით გაგიწევია?

— ვეტერინარული კლუბიდან წასულად მართლაც შეგიძლიათ მიგულოთ. 1 აგვისტოს კონტრაქტის ვადა იწურება და თავისუფალი აგენტი გავხდები. მიუხედავად ამისა, სულაც არ ვაპირებ, კლუბის თავკაცთან მოულაპარაკებლად გავეცალო აქაურობას. „ვიტ ჯორჯია" ჩემთვის მშობლიურ გუნდად იქცა, გურამ რუხაძისგანაც ბევრი სიკეთე მახსოვს, ამიტომ მინდა, ერთმანეთს პირნათლად დავშორდეთ.

სადღეისოდ რაღაც ვარიანტები კი არის, თურქები მთავაზობენ კონკრეტულ წინადადებებს, სხვებიც დამიკავშირდნენ, აქაურებიც და უცხოელებიც, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა, ალბათ, თვის ბოლოს გაირკვევა.

— „ვიტ ჯორჯიადან" წასვლა რატომ გადაწყვიტე, თითქოს კლუბი შენს დამსახურებას აფასებდა და გემადლიერებოდა...

— უკვე 26 წლის ვარ და მგონია, რომ ასაკისა და გამოცდილების კვალობაზე ძალიან ცოტას ვთამაშობდი. უთამაშებლობას ვერავის დავაბრალებ, სკამზე ჯდომა ნაწილობრივ მოძალებული ტრავმების, ნაწილობრივ კი მაღალი კონკურენციის გამო მიწევდა. წასვლაც ამიტომ გადავწყვიტე. ჩემს ასაკში სათადარიგოობა არაფერს მარგებს.

— პირველ მეკარედ ბოლო მატჩები „დინამოსთან" და „ლოკომოტივთან" ითამაშე. მომავალ ჩემპიონებთან ნამდვილად არ გაგიმართლა, სუსტად ჩაატარე მატჩი და „ვიტ ჯორჯიაც" დამარცხდა. შენს მიმართ ნდობა მწვრთნელმა სწორედ მაშინ ხომ არ დაკარგა?

— „დინამოსთან" თამაში მართლაც ჩამივარდა, მაგრამ კარნევალის ჩემთვის ყური ნამდვილად არ აუწევია. უბრალოდ, შეცდომებზე მიმითითა და მეც მივიღე სამართლიანი კრიტიკა. შეუცდომელი ისაა, ვინც არ თამაშობს და ბრძოლას გაექცევა. დიდი ხნის უთამაშებელი ვიყავი და შემეძლო, პრინციპულ მატჩში კარში ჩადგომა თავიდან ამეცილებინა, მაგრამ ვიცოდი, გუნდს ვჭირდებოდი და გავრისკე. კარნევალის ნდობა რომ არ დამიკარგავს, მაშინაც დამტკიცდა, როცა „ლოკომოტივთან" ასევე პრინციპულ თამაშში პირველ ნომრად დამასახელა.

— „ვიტ ჯორჯიას" წლევანდელ თამაშებს უმეტესწილად ტრიბუნებიდან ადევნებდი თვალს, თანაც კლუბის სამზარეულოსაც კარგად იცნობდი. როგორ ფიქრობ, ჩინებული საჩემპიონო შანსი რად ვერ გამოიყენეთ?

— მერწმუნეთ, კლუბში ყველა პირობა იყო საიმისოდ, რომ სასწაული მოგვეხდინა. გუნდიც სწორედ ამისთვის ემზადებოდა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში, ჩემი აზრით, გამოცდილებამ გვიღალატა, ევებ ჩემპიონობისთვის ფსიქოლოგიურად მზად არც ვიყავით და გადამწყვეტ მომენტში ქინიც დაგვაკლდა.

— ბოლო დროს ხშირი ტრავმიანობა დაგჩემდა. ახლა თავს როგორ გრძნობ?

— ორი წლის წინ მუხლის ოპერაცია გავიკეთე და მას შემდეგ წელში ვერ გავიმართე. ქირურგიული თვალსაზრისით ის ოპერაცია უნაკლოდ შესრულებული ვერ გამოდგა და დიდხანს მაწვალა.

მუხლი საბოლოოდ რომ მოვირჩინე და ვიფიქრე, მეშველა-მეთქი, ბარძაყის კუნთი დამეჭიმა, რომლის მოშუშებასაც არ დაადგა საშველი. იქნებ მეც ვიჩქარე წვრთნის დაწყება და ტრავმაც არაერთხელ გავიმიზეზე. ექიმებთან სირბილში თითქმის ორი სეზონი გავაცდინე. ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ, ყველა პრობლემა უკან დარჩა და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

— ამბობ, ისევ ლეგიონერობას ვეშურებიო. ერთხელ უკვე თამაშობდი უცხოეთში, თუმც მერე აქაურობა არჩიე უცხოებში ყოფნას.

— ბულგარეთში თითქმის უწვერული წავედი, სულ სხვა აზრით და ფიქრებით, მაგრამ კარგი გამოცდილება მივიღე. იმ სამმა წელიწადმა, სახლისგან და შინაურებისგან მოშორებით ყოფნამ, დამოუკიდებლობას მიმაჩვია. ახლა უკვე ზრდასრული კაცი ვარ, ბულგარული გაკვეთილებიც კარგად მახსოვს, რაც სხვა ქვეყანაშიც გამომადგება. ფეხბურთის ენა ხომ ყველგან ერთია.

მამუკა კვანტალიანი

ლუკიჩ-კოვაჩი მეროპიდან, ალექსიძე-ქემოკლიძე თბილისიდან

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ გერმანულ დაბა რუიტში საახალსეზონო მზადებას შეუდგა. რუიტში გუშინწინ საღამოს ჩასულ გუნდს გუშინ დილით ხორვატიიდან მწვრთნელმა ივო შუშაკმაც ჩააკითხა და ვარჯიშებიც გახურდა.

გუნდის შემადგენლობაში ჯერ ცვლილებები არაა, შუშაკის განკარგულებაში ის 19 ფეხბურთელია, რომლებიც თბილისიდან გაემგზავრნენ. მატება დღეიდან უნდა დაიწყოს — ჩემპიონები ბოსნიელ თავდამსხმელ ლაკიჩს და სლოვაკ ნახევარმცველ კოვაჩს გასასინჯად ელიან. „დინამოში“ ერთ ლაკიჩს შარშანაც სურდა მოხვედრა, მაგრამ მაშინ ის მწვრთნელმა დაიწუნა, ახლა კი მისი მოგვარის ჯერია. ხსენებულ ფეხბურთელებზე დაწვრილებითი ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს, ვიცით მხოლოდ, რომ ისინი 22-23 წლისანი არიან.

ჩემპიონებს შაბათისთვის თბილისში სამკურნალოდ დარჩენილი რატი ალექსიძე და რევაზ ქემოკლიძე უნდა შეუერთდნენ. თურქული „ქოჯაელიდან“ წამოსული ქემოკლიძის „დინამოში“ ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. რაც შეეხება ლოკომოტიველი დავით სირაძის ჩემპიონებში განათხოვრებას, ამის თაობაზე რკინიგზელებთან მოლაპარაკებები კიდევ მიმდინარეობს.

ჩვენებს რუიტში დღეს პირველი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი, მეტოქე ბადენვუტერბერგის მხარის სამოყვარულო „ჰელას ვაილბლინგენი“ იქნება. 29-ში თბილისელები ასევე მოყვარულთა გუნდს, „ნეკერჰაუზენს“ გაეჯიბრებიან, 1 ივლისს კი ავსტრიაში იქაური მეორე ლიგის „ლუსტენაუს“ ესტუმრებიან. შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამომ“ თუ ალბანურ „ტირანას“ სძლია, ჩვენებს შემდეგ სწორედ ავსტრიელებთან, „გრაცერთან“ შეხვედრა ელის. შუშაკსაც ამად ჩაუთვლია საჭიროდ „ლუსტენაუსთან“ თამაში.

— რუიტში ჩინებული პირობებია, მოედნები იდეალური, „დინამო“ დღეში ორჯერ ვარჯიშობს. ყველა ჯანმრთელადაა. რუიტში ჩამოსულებს ფირმა „იაკოს“ სავარჯიშო-სათამაშო ფორმების კომპლექტები დაგეხვდა, „დინამოს“ ეკიპირება გაახლდა — გვითხრა გუნდის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ. მისივე თქმით, რუიტში საკმაოდ ცხელა, თუმც დილაობით გრილა და ბიჭებისთვის ვარჯიში სასიმოვნოა.

ძოგა ინასარიძე

ახალკაცი ფრანგებმა ქუთაისში დატოვეს

ქუთაისის „ტორპედო“ საახალსეზონო მზადებას აგრძელებს. რიონისპირელები ჯერჯერობით სალორიის ბაზაზე ვარჯიშობენ. მწვრთნელები „ძველებთან“ ერთად რამდენიმე ახალწვეულსაც აკვირდებიან, თუმც „ტორპედოს“ თავკაც სოსო ფრუიძის თქმით, მათი გვარ-სახელი საფეხბურთო საქართველოსთვის ჯერჯერობით არაფრისმთქმელია.

სიახლე ისაა, რომ გუნდში დარჩა რომან ახალკაცი. მას მოსკოვის „ლოკომოტივში“ ივჯარის წესით განათხოვრებას სთავაზობდნენ, თუმც-

— გადავწყვიტეთ, ახალკაცი უეფას თასზე დავიხმაროთ. „ლოკომოტივის“ ვარიანტი არ გამორიცხულა. დიდი შანსია, რომანი სწორედ ევროთასიდან ჩვენი გავარდნის შემდეგ გავუშვათ მოსკოვში. ახლა კი მისთვისაც უკეთესი იქნება, ფრანგულ „ლანსთან“ ითამაშოს — გვითხრა სოსო ფრუიძემ.

ჯერაც გაურკვეველია უკრაინელი ანდრი პოროშინის საკითხი. მას ქუთაისურ კლუბთან კონტრაქტი კი დაუმთავრდა, მაგრამ მოსალოდნელია, რიონისპირელები და ფეხბურთელი ისევ შეთანხმდნენ. პოროშინის ხელმეორედ გატორპედოელება ორ დღეში გადაწყდებაო, გაგვიმხილა ქუთათურთა მთავარმა მწვრთნელმა.

კახა შალამბერიძე

ბადრი ბერელაძის ფოტო

რომან ახალკაცი (მარცხნივ) „ტორპედოს“ „ლანსთან“ დაეხმარება

I	II			III	IV		
1	1	ბრაზილია	834	15	14	პორტუგალია	692
2	2	საფრანგეთი	814	16	18	კამერუნი	691
3	2	ესპანეთი	762	17	16	ბელგია	672
4	5	არგენტინა	754				
5	6	ჰოლანდია	752	18	17	კოსტა რიკა	663
6	4	გერმანია	745	18	20	შვედეთი	663
7	8	თურქეთი	733	20	19	პარაგვაი	657
8	7	ინგლისი	727	30	25	რუსეთი	627
9	10	აშშ	717				
10	13	ჩეხეთი	712	40	43	შვეიცარია	605
11	12	იტალია	711				
11	9	მექსიკა	711	86	84	საქართველო	468
13	10	დანია	710				
14	15	ირლანდია	703	88	89	ალბანეთი	466

I გრაფა — ადგილი, II — ადგილი წინა თვეში; III — ქულა, IV — ჭოჭა

შუშაკს ფენი დაუცდა

ფიფა-კოკა-კოლას ერთობლივ სარეიტინგო ცხრილში ქართველთათვის სასიკეთოს კვლავაც ვერაფერს ნახავთ. დუბლინში ირლანდიელებთან მარცხმა საქართველოს ორი ადგილით გაუუარესა სარეიტინგო ვითარება და თანავგუფელ ალბანეთს დაუახლოვა. ამ ორს შორის იმდენად მცირე სხვაობაა, ურთიერთშეხვედრაში ალბანელთა გამარჯვების შემთხვევაში „შინდისფერები“ „არწივებს“ ადგილს გაუცვლიან. ერთი ადგილით ზევით აინაცვლა ქართველთა დამმარცხებელმა ირლანდიამ. დაწინაურდა შვეიცარიაც, რუსები კი თბილისში წაქცევის შემდეგ კვლავაც ვერ დადგნენ ფეხზე და 30-ე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. რუსის რუსმა ინაღვლოს, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ...

ჯერ ქორწილი, მერე ბურთი

ბათუმს ასლანის ეიმედება, ასლანს — ბალაძის

საახალსეზონო სამზადისი დაიწყო „ბათუმმა“. ზღვისპირელებს წლეულს დიდი გეგმები აქვთ. გვეყო ამდენი მაჩანჩალობა, ექვსეულში უნდა შევიდეთ და მერე დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლოთო, ამბობენ კლუბის მესვეურები.

ხელმძღვანელთა შეგულიანებით და თანადგომით იმედიანად დაიწყო მოსამზადებელი ეტაპი ასლან ბალაძემ. ასეთი რიხით კარგა ხანია, არ დაგვიწყია სეზონისთვის სამზადისიო, გვითხრა „ბათუმის“ მწვრთნელმა, რომელსაც სიხარულისთვის სხვა საბაბიც აქვს — მისი ვაჟი, ირაკლი ბალაძე, რომელიც „ბათუმის“ მეკარეცაა, დაოჯახდა. ამიტომ თუ ითქვა, უმცროსი ბალაძე ფეხბურთს ერთხოვებაო, თუმც მამა ბალაძემ, რას ამბობთ, ახლა უნდა ათამაშდეს, მე რომ გამიხარდება, ისეო.

ასლან ბალაძეს „არაქართული“ დამოკიდებულება ჰქონდა შვილთან. თითქმის სულ სათადარიგოებში ამყოფებდა და აქა-იქ რამდენიმე წუთით თუ ათამაშებდა. როგორც ჩანს, ირაკლის დაოხაჯებამ ყველაფერი შეცვალა. „ვცდებოდი, მეტ სათამაშო დროს რომ არ ვაძლევდი შვილს, ურიგო მეკარე არ არის, ვხედავ მასში პოტენციალს და იმედი მაქვს, ახალ სეზონში გარკვეულ წვლილს შეიტანს გუნდის წარმატებაში“ — გვითხრა ასლან ბალაძემ.

„ბათუმში“ დღესდღეობით 32 ფეხბურთელი ემზადება. მათ შორის ახალწვეულებიც არიან. ზღვისპირელებმა „დინამო 2“-დან ორი მცველი გადაიბირეს — მეგრელიშვილი და შელია. ბალაძეს განსაკუთრებით მეგრელიშვილის ეიმედება, ნიჭიერია, დიდ სამსახურს გაგვიწევსო. ზღვისპირელებმა გორელი მიხეილ თაყაძეც დაიმატეს, დღეს კი ბათუმში ნუკრი მანჩხავას ჩასვლას ელიან. სავარაუდოდ, ამ ფეხბურთელთანაც შეთანხმდებიან.

„ბათუმი“ მოლაპარაკებას აწარმოებს „ვიტ ჯორჯიასთან“. ბალაძეს ბრინჯაოს პრიზიორთაგან შემტევი ცერცვაძის გადაბირება სურს.

„მოლაპარაკებები გვაქვს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან, მათი ვინაობის გამხელა ჯერ არ გვსურს. სატრანსფერო საქმიანობას მოვრჩებით და მერე გუნდს 20 ფეხბურთელამდე გავცხრილავთ. ასეთი რა ბათუმში ჯერ არ მომხდარა — სეზონის დამთავრების შემდეგ არავის ჰქონია გუნდიდან წასვლის სურვილი, ამას რა ჯობს, მაგრამ რამდენიმეს ალბათ მაინც მოუწევს გუნდთან გამოთხოვება — „ბათუმში“ ღირსეულები და საუკეთესოები ითამაშებენ“, გვითხრა ბალაძემ.

ალექსანდრ ბერეზინის ფოტო

ასლან ბალაძე

ზღვისპირელები შინაურ პირობებში 5 ივლისამდე მოემზადებიან, მერე კი უცხოეთში გაემგზავრებიან შეკრებაზე. „ბათუმი“ ბულგარეთს ან თურქეთს ეწვევა.

უცხოეთში წასვლამდე ასლან ბალაძე 30 ივნისს ქუთაისში ჩაიყვანს გუნდს „ტორპედოსთან“ ამხანაგურ მატჩში გამოსაცდელად. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბათუმი“ ახალ ჩემპიონატსაც „ტორპედოსთან“ საგარეო მატჩით დაიწყებს.

პაატა ძვანტალიანი

დინამომ აკადემიურად მოიგო

გუშინწინ „ლოკომოტივის“ სტადიონმა ყოფილი ფეხბურთელის, აფხაზეთის ომში დაღუპული ნოდარ მელუას ხსოვნისადმი მიძღვნილ მეათე საუბილეო ტურნირის ფინალურ მატჩს უმასპინძლა. გათამაშებაში 1987 წელს დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ, ფინალში კი ერთმანეთის პირისპირ „დინამო“ და „აკადემია“ წარსდგნენ.

შეხვედრა დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა. „აკადემიამ“ ვერაფერი დაუპირისპირა აშკარად ერთი თავით მაღლა მდგომ მეტოქეს, რაზეც ანგარიშიც კარგად მეტყველებს — „დინამომ“ 6:0 დაჯაბნა „აკადემია“.

ამგვარად, ნოდარ მელუას სახელობის მეათე საუბილეო ტურნირის გამარჯვებული, რომლის ორგანიზატორიც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია იყო, „დინამო“ გახდა. ჩემპიონებს ნოდარ მელუას სახელობის თასი აფფ-ის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ გადასცა. ორგანიზატორებმა ნამატჩევს გათამაშებაში გამორჩეული ფეხბურთელებიც დააჯილდოვეს:

მეკარე — ნიკა მელაძე; მცველი — ჯემალ დოქიძე; ნახევარმცველი — გელა ვაშაკიძე; თავდამსხმელი — გურამ მაჩაიძე; ბომბარდირი — დავით თალაკვაძე; საუკეთესო ფეხბურთელი — გიორგი გულორდავა.

კახა შალამბერიძე

კომენტარი დელ ბოსკეს, კომენტარის კომენტარები

ფლორენტინო პერესმა ფერნანდო იერო მასზე ზრუნვის მომიზეზებით გაუშვა

მას მერე, რაც „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ მსოფლიოს ამცნო, ვისენტე დელ ბოსკეს და ფერნანდო იეროს კონტრაქტები აღარ გავუგრძელოთო, საფეხბურთო სამყარო კლუბის პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის განმარტებას ელოდა. პერესმაც განმარტა.

ფლორენტინო პერესი

„სანტიაგო ბერნაბეუს“ საპრესკონფერენციო დარბაზში პრეზიდენტი ჟურნალისტებს შეხვდა და მთელი დრო დელ ბოსკესა და იეროს გაშვების საკითხებს დაუთმო.

— ორშაბათს კლუბის დირექტორატის წევრები შევიკრიბეთ და ექვსი თუ შვიდი საათი ვისაუბრეთ. ამ შეხვედრაზე უმნიშვნელოვანესი საორგანიზაციო საკითხები გადავწყვიტეთ, რომლებზეც ხორხე ვალდანომ უკვე გააკეთა განცხადება. თუმცა ვალდანომ მხოლოდ ინფორმაცია მოგაწოდათ, მე კი თავს ვალდებულად ვთვლი, მიღებულ გადაწყვეტილებებზე კომენტარი გავაკეთო.

თავდაპირველად მინდა გითხრათ, რომ „რეალი“ თავის ყველა წევრს მაქსიმალურ მოთხოვნებს უყენებს. ამიტომ თავს უფლებას ვერ მივცემთ, გრძნობებს ავყვეთ და გადაწყვეტილებები ისე მივიღოთ. ასე რომ მოვქცეულიყავით, ვისენტე დელ ბოსკე დღესაც „რეალის“ მწვრთნელი იქნებოდა, რადგან ის ყველას გვიყვარს და ჩვენი დიდი გუნდის განუყოფელ ნაწილად ვთვლით.

მაგრამ, როგორც გითხარით, გრძნობებს ვერ ავყვებით, სხვაგვარად „რეალი“ მსოფლიოში უდიდესი კლუბი ვერ იქნება. უემოციო მსჯელობამ კი იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ დელ ბოსკემ თავისი მისია შეასრულა, ასე ვთქვათ, ციკლი ჩაამთავრა. „რეალმა“ ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს, რისთვისაც ჩვენ ახალი ტიპის მწვრთნელი გვჭირდება. ვიმეორებ, დელ ბოსკე ძალიან კარგი მწვრთნელია, ჩვენ უბრალოდ ახალი ყაიდის მწვრთნელი გვჭირდება. დელ ბოსკეს მუშაობის მეთოდები ძალიან ტრადიციულია, ამ ეტაპზე კი „რეალს“ უფრო მეტად ტაქტიკური და სტრატეგიული მეთოდები სჭირდება.

ზოგი ფიქრობს, რომ ცვლილებები კრიზისის დროს უნდა განხორციელდეს, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამის გაკეთება ახლა, გამარჯვების შემდეგ უფრო მიზანშეწონილია. თუკი მუდმივად სიახლეებზე არ ფიქრობ, კრიზისი აუცილებლად დადგება და ამის თავიდან ასაცილებლად ზრუნვა ახლავე უნდა დავიწყოთ.

ვიცი, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას უარყოფითი რეაქციაც მოჰყვება და უკვე მოჰყვა კიდეც, მაგრამ ვინ არის მართალი, ამას მხოლოდ დრო აჩვენებს.

ჩვენ არ გვჭირდება მწვრთნელი-ვარსკვლავი. უსახელო, მაგრამ უზარმაზარი გამოცდილების მქონე კაცი გვინდა. ასეთთაგანია კარლოს კეირუში და ჩვენ მის მოყვანაზე ვფიქრობთ.

რაც შეეხება ფერნანდო იეროს, ვფიქრობ, ისიც სწორედ ახლა უნდა წასულიყო. მან 14 წელი გაატარა კლუბში, მას ყველაფერი მისცა, მსოფლიოს საუკეთესო მცველი იყო და ჯობდა მაშინ წასულიყო, როცა მას ჯერ კიდევ ტაშს უკრავენ. მერე და მერე, მის თამაშში მეტი წუნი იქნება.

ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ფიგუსა და გუტის გაშვებასაც ვაპირებთ. გარწმუნებთ, რომ ფიგუ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია „რეალისთვის“ და ის გუნდში დარჩება. გუტიზე კი დღეს ვერაფერს მოგახსენებთ. მას კონტრაქტი ორი წლის მერე უმთავრდება და ვფიქრობ, ისიც ჩვენთან დარჩება.

ვისენტე დელ ბოსკე

ფლორენტინო პერესის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ კომენტარს „რეალის“ აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა საპასუხო კომენტარი „რადიო მარკას“ ეთერით შეაგება.

— თავს თანამედროვედ მოაზროვნე მწვრთნელად ვთვლი და სიმართლე გითხრათ, აბსოლუტურად ვერ გავიგე, რა ახალ ეტაპზე და ციკლის დასრულებაზე ილაპარაკა პერესმა.

„რეალიდან“ თავაწეული მივდივარ და გუნდს წარმატებებს ვუსურვებ. ბევრმა ფეხბურთელმა უკვე დამირეკა და მე მათ დიდად ვაფასებ.

ფერნანდო იერო

— „რეალთან“ კონტრაქტი 30 ივნისს მეწურება. ახლა ჩემი აგენტი კლუბთან გაყრის საბოლოო დეტალებს აზუსტებს. პერესს უკვე შევუთვალე, რომ გამოსამშვიდობებელი მატჩის ჩატარება არ მსურს.

რობერტო ჯარლოსი

ბრაზილიელმა მცველმა თავისი კომენტარი რადიო „ლა რედთან“ ინტერვიუში გააკეთა:

— ჩვენ, ფეხბურთელები, ვეცდებით, ფლორენტინო პერესს შევხვდეთ და გადაწყვეტილების შეცვლა ვთხოვოთ. ეგებ გაჭრას და პრეზიდენტმა დელ ბოსკეს და იეროს გაშვება გადაიფიქროს.

რონალდო

ამ სეზონში „რეალის“ მთავარმგოლე ახლა სამშობლოშია და კლუბის გადაწყვეტილებას დიდად გაუოცებია.

— დელ ბოსკესთან ჯერ არ დამირეკია, მაგრამ, როგორც კი ვითარება ოდნავ დაცხრება, ამას აუცილებლად გავაკეთებ. მასთან მუშაობამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა და უაღრესად გაოცებული და შეწუხებული ვარ მისი გაშვებით. სამწუხაროდ, როცა კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელს უშვებს, ფეხბურთელებს არაფერს ეკითხება.

გიორგი დარჯანია

„მარკამ“ კარლოს კეირუში „რეალში“ პერესზე ადრე დანიშნა



„რეალი“ ვისენტე დელ ბოსკეს გარეშეც მოძრაობს



კარლოს კეირუში

დაიბადა 1953 წლის 1 მარტს ნამპულაში, მოზამბიკი

განათლება ლისაბონის უნივერსიტეტში მიიღო, რის მერეც მცირე ხნით მოზამბიკში თამაშობდა, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ კი პორტუგალიაში დაბრუნდა.

1980: ლისაბონის „ოლივაირეშის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს

1982: ლისაბონისავე „ბელენენსეშის" ახალგაზრული გუნდის მწვრთნელი გახდა

1983: პორტუგალიის მეორე დივიზიონის „ესტორალის" მწვრთნელად დაინიშნა

1984: პორტუგალიის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე გახდა

1987: პორტუგალიის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს

1989: პორტუგალიის 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა

1991: აღმოაჩინა ლუიშ ფიგუ და რუი კოშტა, პორტუგალიის ჭაბუკთა ნაკრები მეორედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი, თავად კი ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტზე არტურ ჟორჟე შეცვალა

1994: პორტუგალია ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდა და პოსტიდან გადადგა. მუშაობა ლისაბონის „სპორტინგში" გააგრძელა, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში ჯერ მესამე, მერე კი მეორე ადგილზე გაიყვანა

1996: მაისში ნიუ იორკის „მეტროსტარზის" მწვრთნელად დაინიშნა,

ამავე წელს იაპონიაში წავიდა, სადაც „გრამპუს ეითში" დაიწყო მუშაობა

1997: ამერიკაში დაბრუნდა და იქაურ ფეხბურთის ფედერაციას კონსულტაციებს უწევდა

2000: დაინიშნა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელად, სადაც კონტრაქტით მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე უნდა ემუშავა

2002: ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, მაგრამ აფრიკის თასის მეოთხედფინალში დამარცხებისა და გუნდის ტექნიკურ დირექტორთან, იომო სონოსთან კონფლიქტის გამო გაათავისუფლეს. 6 ივნისს „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონის თანაშემწე გახდა

2003: გუშინ მადრიდის „რეალთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

კეირუშმა მსოფლიოც გაინაწილა

ფლორენტინო პერესს სიტყვის კაცად ვიცნობთ, რასაც ამბობს, აკეთებს. აგერ ახლაც, ახსენა კარლოს კეირუში და გუშინ ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა. მოზამბიკში დაბადებული პორტუგალიელი წელიწადში ორ მილიონ ევროს მიიღებს.

გუშინვე, თბილისის დროით საღამოს ცხრის ნახევარზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე" კლუბის ახალი მწვრთნელის პირველი პრესკონფერენცია გაიმართა.

„მაღლობის მეტი რა მეთქმის, უდიდეს კლუბში მუშაობის უდიდესი პატივი მერგო — თქვა კეირუშმა — „რეალი" მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ნაწილია და მე კი „რეალის" ნაწილი გავხდი".

პირველ პრესონფერენციაზე ახალი მწვრთნელი კონკრეტულად არაფერს არ რომ იტყოდა, იმთავითვე ცხადი იყო, უფრო საინტერესო კი, ვფიქრობთ, ფლორენტინო პერესის ნათქვამია: „რეალს" დიდი ფეხბურთელები ჰყავს და, ცხადია, ვერცერთი მწვრთნელი ვერ შეძლებს, ისინი უფრო დიდ ფეხბურთელებად აქციოს. მაგრამ, მწამს, კეირუში ამ დიდი ფეხბურთელებიდან შეკრებილ გუნდს უფრო დიდ ფეხბურთს ათამაშებს, ვიდრე გუნდი ახლა თამაშობს. ჩემი ეს რწმენა იქიდან მომდინარეობს, რომ კეირუში ბრწყინვალე მწვრთნელია და „რეალსაც" ძალიან კარგად იცნობს".

ამის პარალელურად, „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, ახალი თანაშემწის მოძებნა სულაც არ მჭირდება, ჩვენი სამწვრთნელო შტაბის წევრი მაიკ ფელანი ჩინებულად გასწევს კეირუშობასო.

გიორგი დარჯანია



ვინ თქვა, ფერგიუსონი მაგარიაო?!

ალექს ფერგიუსონი 1986 წლის 6 ნოემბერს მივიდა „მანჩესტერ იუნაიტედში". 1991 წლამდე ის მარტოკა წვრთნიდა გუნდს და ვერაფერი მოიგო.

1991 წლიდან კი მის თანაშემწედ ბრაიან კიდი დანიშნეს. შედეგი: 1993-ში „იუნაიტედი" ინგლისის ჩემპიონი გახდა, რაც მთელი 26 წელი ვერ მოეხერხებინა.

კიდმა „იუნაიტედში" 1998 წლის დეკემბრამდე იმუშავა, ჯილდოებიც ბლომად მოიხვეჭა და მატჩების საერთო რაოდენობის 57.95 პროცენტი მოიგო.

კიდის წასვლის შემდეგ ფერგიუსონს თანაშემწედ სტივ მაკლარენი დაუნიშნეს, რომლის დროსაც „იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგაც მოიგო და მთლიანობაში, მაკლარენის მუშაობის ორწელიწადნახევარში, გუნდმა თამაშის 60 პროცენტში გაიმარჯვა.

ახლა ალექს ფერგიუსონს გუნდის წვრთნაში კარლოს კეირუში ეხმარება და აი, შედეგიც: „იუნაიტედმა" მატჩების 66.13 პროცენტი მოიგო.

და როგორი შედეგი ჰქონდა ფერგიუსონს, როცა 2001-02 წლების სეზონში თანაშემწის გარეშე უძღვებოდა საქმეებს? სულ რაღაც 56.9 პროცენტი და მესამე ადგილი ჩემპიონატში, რაც პრემიერლიგის არსებობის ისტორიაში „მანჩესტერ იუნაიტედის" უარესი შედეგია.

ყველაფერი ამით რისი თქმა გვინდოდა? არაფრის, უბრალოდ ფაქტები გაგაცანით.

კოტე კეკელია

ფორმა

გუშინ „ბარსელონამ" ახალი ფორმა წარადგინა, რომლითაც გუნდი მომდევნო სეზონში ითამაშებს.

სიახლე ის გახლავთ, რომ მაისურაზე ზოლები უფრო ფართეა, მკლავები კი უფრო მუქი ფერისაა. ამასთანავე ქსოვილი, რომლისგანაც ფორმაა შეკერილი, უფრო მსუბუქი და ჰაერგამტარია.

სარეზერვო გუნდისთვის კი ღია ყავისფერი ფორმა შეურჩევიათ.



დევიდ ბექემი მადრიდში ჩასვლამდე „სანტიაგო ბერნაბეუს" მორბენალ სარეკლამო ბრაზე ჩაატარეს

ბექემის კვალზე

მადრიდის „რეალმა" დაადასტურა, რომ გუნდის ახალი მწვრთნელი მისი ახალი ვარსკვლავის, დევიდ ბექემის კარგი ნაცნობი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე კაცი კარლოს კეირუში გახდა. „იუნაიტედის" თავკაც ალექს ფერგიუსონს თავისი ასისტენტისთვის თანხმობა უთქვამს, გადადი „ბერნაბეუზე", ხელს როგორ შეგიშლიო.

თურმე, გასული სეზონის განმავლობაში „რეალს" ორჯერ მოუსინჯავს ნიადაგი და ახლა, სეზონი რომ დამთავრდა, საქმე მოაგვარა.

და, ეჭვი არაა, დევიდ ბექემი ამ ამბავს მხოლოდ მეესალმება, ხოლო ფერგიუსონი, სეზონისწინა შეკრებამდე სამი კვირით ადრე მარჯვენა ხელის და ჭკვიანი თანამოაზრის გარეშე რჩება — კეირუში ერთ წელიწადზე ოდნავ მეტია, რაც „მანჩესტერში" მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ბექემს, რომელსაც ბოლო დროს ფერგიუსონთან კონფლიქტი ჰქონდა, კეირუშთან მხოლოდ კეთილი ურთიერთობა აკავშირებს.

„ძალიან გამიკვირდა დელ ბოსკეს მოხსნის ამბავი რომ გავიგე — თქვა ბექემმა მალაიზიური კომერციული ტურნეს დროს მიცემულ ინტერვიუში — თუმცა „რეალის" ჩემპიონობამ დიდი სიხარული მომანიჭა, ახლა ერთი სული მაქვს, მადრიდში ჩავიდე და ფეხბურთელები გავიცნო. იმედი მაქვს, „რეალშიც" ისეთივე წარმატებით ვითამაშებ, როგორც „მანჩესტერში".

ბაბუნა კედია

ცოტა ლაციოზე და ბევრი რომაზე

რობერტო მანჩინის ფული მისცეს





ფაბიო კაპელოს ფრანკო სენსი მაინც ვერ შეელია

„ლაციოს“ 102 მილიონ ევროზე მეტი მიაშველეს და საუბრები რომაული კლუბის გაკოტრების შესახებ ამით დასრულდა, მაგრამ ხელფასებს რომ გადახდა უნდა, სხვა ამბავია. ჯერ მაინც არის საშიშროება, რომ ფეხბურთელები ძველი დავალიანების გამო იჩივლებენ, და მაინც:

„ჩვენი მისია შესრულებულია. „ლაციოს“ საფრთხე აღარ ემუქრება“ — თქვა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო პესიმ, როდესაც დირექტორთა საბჭოს სხდომიდან გამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს, როდესაც კლუბის ფინანსური მდგომარეობა შეაჯამეს, გაირკვა, რომ ვალი მეტისმეტად გაზრდილიყო, რის შედეგადაც პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტმი, რომელსაც ახლა უკვე ყოფილ პრეზიდენტს უწოდებენ, თავისი წილი, ანუ აქციათა 14 პროცენტი გასაყიდად გაიტანა. დღეს მდგომარეობა შეცვლილია, რამდენიმე საინვესტიციო ბანკმა კლუბის ხაზინაში სერიოზული თანხების შეტანა იკისრა.

ერთი სიტყვით, ზემოთ ნახსენები თანხა, 102 მილიონი ევრო ვალებს ფარავს, მაგრამ ამ თანხიდან 14 მილიონი სატრანსფერო საქმეებზე დაიხარჯება ანუ, ფაქტობრივად, მწვრთნელის, რობერტო მანჩინის განკარგულებაშია.

მანჩინის უპირველესი ამოცანა კი „უდინეზეს“ ნახევარმცველების, მარტინ იორგენსენის და დავიდ პიზარს, აგრეთვე „პარმას“ რუმინელი თავდამსხმელის, ადრიან მუტუს შეძენა გახლავთ.

დასახელდა „ლაციოს“ ახალ მეპატრონეობაზე პრეტენზიის მქონეთა ვინაობაც. კლუბის აქციათა წილების შეძენა სურთ სტეფანო რიკუჩის, ვიტორიო მერლონის და სალვატორე ლიგრესტის, რომელთა გვარები ქართულ საზოგადოებრიობას არაფერს ეუბნება, მაგრამ უნდა ვირწმუნოთ, რომ სერიოზული ბიზნესმენები არიან.

ამასობაში, ქალაქის მეორე ბოლოდან გამოვიდა საეჭვო ხმები. დიახ, „რომაზეა“ ლაპარაკი. დაირხა ჭორი, რომ ცნობილი ნახევარმცველი დამიანო ტომაზი სადაცაა სასამართლოს კარს მიადგება და კლუბს კუთვნილ თანხას კანონის ძალით მოსთხოვს. თურმე „რომას“ ხელფასები მარტის მერე არ გადაუხდია, პრემიები კი გასული ზაფხულისა აქვს გასასტუმრებელი.

ამის თაობაზე ეცნობა მოთამაშეთა ასოციაციასაც. ირკვევა, რომ თუ დაგროვილი ვალი 30 ივნისამდე არ გასწორდება, საქმეს უსიამოვნო, ოფიციალური ხასიათი მიეცემა. ერთი სიტყვით, სადღაც სამ კვირაში „რომას“ ფეხბურთელები თავისუფალ აგენტებად რომ გამოცხადდნენ, ნურავინ გაიკვირვებს.

გასაკვირი სხვა ამბავია:

„ფაბიო კაპელო მადრიდის „რეალში“ თუ გადავა, სიხარულისგან ხტუნვას დავიწყებ“ — აი, ასეთი შოკური სიტყვები წამოსცდა „რომას“ პრეზიდენტს, ფრანკო სენსის:

„თუ ის თავს იკატუნებს, თითქოს ვერაფერს ხედება და „რომასგან“ კონტრაქტის გაისინდელ ამოწურვას ელის, ახლავე გადავუხდი, რაც ხელშეკრულებით ეკუთვნის და წავიდეს“.

ამბობენ, რომ სენსის და კაპელოს ურთიერთობები ბოლო თვეების მანძილზე მართლაც იძაბებოდა და მწვრთნელის განცხადება თანამდებობაზე დარჩენის შესახებ საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის მოულოდნელიც იყო.

„ამ სიტყვების კომენტარს ახლა არ გეტყვით — თქვა პასუხად კაპელომ — დღეს ამაზე საუბრის დრო არ არის. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ „რეალში“ დაბრუნება არ მსურს. ამ კლუბთან ჩინებული მოგონებები მაკავშირებს და მეტი არაფერი“.

არადა, კაპელოს ესპანეთში შესაძლო დაბრუნებაზე მართლა ლაპარაკობენ ბოლო დროს. „რეალი“ გვერდით იყოს და „ვალენსიასაც“ დაჟინებით ახსენებდნენ, სენსიმ კი არც აცია, არც აცხელა და კაპელოს მაგივრად კარლო მაცონეს მოვიყვანო, გამოაცხადა.

მაცონე: „ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ, მაგრამ სენსიმ გადააჭარბა. მე და მას არ გვისაუბრია ასე რომ, ჩემს გეგმაში მხოლოდ „ანკონას“ ხელმძღვანელებთან შეხვედრაა. გამოგიტყდებით, ასაკი მემატება და ამიტომ კარიერის ლამაზად, მაღალ ნოტაზე დასრულებას ვაპირებ“.

რომელი მაცონე „ბრეშადან“ წასვლის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა. ასე რომ, თუ მეტისმეტი პასუხისმგებლობის აღებას ისევ შეძლებს, სულაც არ არის გამორიცხული. მშობლიური ქალაქის გუნდს ჩაუდგეს სათავეში, თუმცა თავად რა თქვა უკვე წავიკითხეთ.

და კიდევ, სენსიმ განაცხადა, ბრაზილიელი ლუსიო, რომელიც ჩვენთვის გერმანულ „ლევერკუზენში“ თამაშით არის ცნობილი, ვიყიდე და ხელმოწერილი კონტრაქტიც მაგიდაზე მიდევსო. გუშინ ეს ნათქვამი „ლევერკუზენმა“ უარყო.

ერთი სიტყვით, „რომაში“ რაღაც აირია და ეს უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტის ქცევიდან ჩანს. თუნდაც იგივე, აქციათა ხუთი პროცენტის „კაპიტალიასთვის“ შეთავაზება — საინვესტიციო ბანკების გაერთიანებაა ასეთი — რომელიც სენსიმ ზარ-ზეიმით ამცნო მოსახლეობას, „კაპიტალიამ“ კი ოფიციალური წერილით უარყო. ანდა, თავდამსხმელის, მარკო დელ ვეკიოს სატრანსფერო ბაზარზე ასეთი სიტყვებით გაყვანა: „ჩვენ ის აღარ გვჭირდება“.

„მე მარკოს დავუკავშირდი და გადავწყვიტეთ ხმა არ ამოვიღოთ, თუმც სენსიმ თავისი გრძნობები დაუფარავად გამოხატა“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა კლაუდიო პასკუალინმა.

საბოლოოდ, ყოველივე ამის გამო დიდი ქაოსი წარმოიშვა. ჟურნალისტებმა დეტალების დასაზუსტებლად და გადასამოწმებლად „რომას“ ოფისს მიაკითხეს, სადაც იძულებულნი გახდნენ სენსის ახალი განცხადება — ოღონდ, თავად პრეზიდენტის გამოჩენის გარეშე — გამოეტანათ.

„ჩემი კომენტარები სარკასტული და განზრახ წინააღმდეგობრივი იყო — ეწერა განცხადებაში — კაპელოზე იმის თქმა მინდოდა, რომ „რეალის“ ინტერესი ერთხელაც ადასტურებს მის მაღალ კვალიფიკაციას, ოღონდ, გარწმუნებთ, ის „რომაში“ დარჩება“.

პაპუნა კედია

კამორანეზის მეორე ნახევარი

მაურო კამორანეზი ტურინში დარჩება — ამას ამბობს „იუვენტუსიც“ და „ვერონაც“. საქმე ის გახლავთ, რომ წარმოშობით არგენტინელი ნახევარმცველი, რომელსაც „ბებერი ქალბატონის“ მოთამაშედ ვიცნობთ, სანახევროდ „ვერონას“ ეკუთვნის. ამის გამო გაჩნდა შიში, რომ კამორანეზი, ბრმა მოქმედებას, შესაძლოა, ცუდ მდგომარეობაში ჩაეყენებინა.

„არგენტინელით კმაყოფილნი ვართ და მის შენარჩუნებას ვცდილობთ — განაცხადა „იუვეს“ დირექტორმა ანტონიო ჯირაუდომ — იმედი ვიქონიოთ, რომ „ვერონასთან“ ყველა საკითხს მოვაგვარებთ“.

„ვერონას“ შეფი ჯამბატისტა პასტორელო: „ნუ ვიჩქარებთ, თუმცა საბოლოოდ, მგონი კამორენეზი მაინც „იუვენტუსს“ დარჩება.“

ამბობენ, რომ ვერონელთა ნახევრის გამოსასყიდად „იუვენტუსი“ 3,64 მილიონ ევროს და კრისტიან ვიერის უმცროსს ძმას, მაქს ვიერის დათმობს.

„იუვენტუსის“ შესახებ გუშინ ვწერდით, რომ იგი „მილანს“ თავდამსხმელს თავდამსხმელში უცვლის: მარკო დი ვაიოს სანაცვლოდ იონ დალ ტომასონს მიიღებს, მაგრამ ჯირაუდომ ამაზე არაფერი თქვა და კოლეგისკენ მიუთითა, მოჯის ჰკითხეთო. ლუჩანო მოჯი, მოგეხსენებათ, ტურინელთა სატრანსფერო საქმეების უფროსია, რაც შეეხება „უდინეზეს“ ნახევარმცველ დავიდ პიზაროს, მასზე დირექტორმა განაცხადა: „იგი, ალბათ, უფრო „ლაციოში“ გადავა“.

პაპუნა კედია



ბედნიერი სება

არგენტინელ ხუან სებასტიან ვერონზე იმდენად ბუნდოვანი ხმები დაირხა, რომ მისმა აგენტმა ფერდინანდო იდალგომ ჟურნალისტებთან საუბარი გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველზე ხან თქვეს, იტალიაში ბრუნდებაო, ხან კი მის მომავალ გუნდად „ბარსელონა“ დასახელეს.

„ვერონს ერთხელაც არ დასცდენია, რომ „მანჩესტერიდან“ სადმე წასვლას აპირებს — თქვა იდალგომ — იგი „ოლდ ტრეფორდზე“ თავს ბედნიერად გრძნობს და იმედოვნებს, რომ კონტრაქტის კიდევ სამი წლით გახანგრძლივების პატივი ერგება. ერთადერთი, რამაც შეიძლება მისი გეგმები არიოს, თავად კლუბის გადაწყვეტილება გახლავთ. თუ „მანჩესტერი“ ვინმეს წინადადებას არ მიიღებს და ვერონს არ გაყიდის, იგი 8 ივლისს, ჩვეულებრივად გამოცხადდება ვარჯიშზე“.

გუშინ ვწერდით, რომ ვერონი „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ლაციოსგან“ 2001 წლის ზაფხულში 29 მილიონ ინგლისურ გირვანქად ჰყავს ნაყიდი და, ბუნებრივია, თუ გაყიდის, კომპენსაციას სრულად მოითხოვს. ხმები იმის თაობაზე, თითქოს გამონაკლისს მანჩესტერელები „ბარსელონასთვის“ გააკეთებენ, ჯერჯერობით არ დასტურდება.

პაპუნა კედია

კოპა იტალიაც შეიცვალა

მომავალ სეზონში იტალიის თასი, ანუ შეჯიბრების მშობლიურ ენაზე რომ ვთქვათ, კოპა იტალია, სახეცვლილი წარსდგება გულშემატკივრების წინაშე. სიახლეთა შორისაა დამატებით დროში „ვერცხლის გოლის“ ამოქმედება. ეს ამბავი სერია A-სა და სერია B-ს კლუბთა წარმომადგენლების შეხვედრაზე გადაწყდა. შეხვედრის მონაწილეთა სურვილი ნათელი იყო: კოპა იტალიას ფორმატის უეფას წესკანონებთან დაახლოება.

გასულ სეზონში დამატებით დროში „ოქროს გოლის“ წესია მოქმედებდა. ამიერიდან, როგორც გითხარით, გოლის „მეტალი“ ხარისხით იკლებს. შეგახსენებთ, „ვერცხლის გოლის“ წესს — თუ დამატებით დროში გოლი გავა, თამაში იმწუთას არ შეწყდება, იგი ტაიმის დასრულებამდე გაგრძელდება.

სხვა ცვლილებები კი ასეთია: აქამდე სერია A-ს რვა გუნდი შეჯიბრებას მესამე ეტაპიდან იწყებოდა. ამიერიდან მესამე ეტაპიდან ჩაერთვება შვიდს პლუს ერთი — თასის მფლობელი, ოღონდ ეს ამბავი ამ სეზონში არ გამოვა, რადგან თასი მესამე ადგილზე გასულ „მილანს“ აქვს.

პაპუნა კედია

40 წლის ბუნდესლიგა სიმბოლურად და გერმანული ლუდით



ბუნდესლიგა წლეულს იუბილარია.

1963 წლის 24 აგვისტოს ახალდაარსებული ბუნდესლიგის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. პირველი გოლი ბრემენში გავიდა. მასპინძლებს დორტმუნდელმა ტიმო კონიტცკამ პირველივე წუთზე გაუტანა.

საოცარია, მაგრამ გოლი არც ფოტოზეა აღბეჭდილი და ვერც ტელევიზიამ შემოინახა. მიზეზი კურიოზულია — ტელევიზიამ მხოლოდ მეორე ტაიმის რეპორტაჟი გადასცა, ფოტოკორესპონდენტები კი „ვერდერის“ გოლის მოლოდინში დორტმუნდელთა კარის უკან ჩასაფრებულიყვნენ.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჟურნალ „კიკერმა“ გამოკითხვა მოაწყო. გულშემატკივრებმა 40-წლიანი ისტორია შეაჯამეს და ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელები ამპლუების მიხედვით გამოავლინეს. გამოკითხვამ 40 ათასამდე რესპოდენტი მოიცვა. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში ბუნდესმატჩებს 10 მილიონ 165 ათას 568 მაყურებელი დაესწრო, რაც აბსოლუტური რეკორდია.

რატომ ეძალებიან გერმანიაში ფეხბურთს? — საკუთარი გუნდის საქომაგოდ, ემოციებისგან დასაცლელად, უშეღავადო ბრძოლის სანახავად და, რა თქმა უნდა, ოქროცურვილი, ქაფქაფა ლუდის საწრუპად. გამოთქმაც კი იშვა: გერმანული ლუდი ფეხბურთის სისხლია.

მაშ ასე, გამოკითხვის შედეგებს დავუბრუნდეთ. დავიწყოთ მეკარით. უმეტეს გერმანელთა აზრით, კარისკაცი ერის ფავორიტი უნდა იყოს. ასეთად მათ 70-იანების „ბაიერნის“ მეკარე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, სამჯერ ჩემპიონთა თასისა და ერთხელ თასების თასის მფლობელი, ოთხგზის ბუნდესჩემპიონი, ლეგენდარული ზეპ მაიერი მიიჩნიეს.

მაიერის ფრთიანი ფრაზები საყოველთაოდაა ცნობილი (ამჟამად იგი „ბაიერნში“ და ნაკრებში მეკარეებს ავარჯიშებს). აი, მაგალითად: „მეკარეს სიმშვიდე მართებს, მაგრამ იმავდროულად ძელთან მიყუდებულს არ უნდა ჩაეძინოს“.

ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩის წინ, შოტლანდიასთან, ოლივერ კანს მარცხენა თვალი ასტკივდა. ზეპ მაიერმა თანამემამულენი დაამშვიდა: „მას შოტლანდიელების სადარაჯოდ ცალი თვალიც ეყოფა“.

თავად ლეგენდარულმა მეკარემ ოლივერ კანზე თქვა, მოსწავლე მასწავლებელზე ძლიერიაო, მაგრამ გამოკითხვაში ამჟამინდელ ბაიერნელს ძველმა აჯობა. პირველ ადგილზე ზეპ მაიერია, მას კვალში ოლივერ კანი, ტონი შუმახერი და ანდრეას კეპკე უდგანან.

ახლა მცველები ვნახოთ. ჰამბურგელმა მანფრედ კალცმა ბერტი ფოგთსი გვარიანად ჩამოიტოვა, რომელმაც თავის მხრივ „ბაიერის“ ლეგიონერ ჟორჟინიოს და დორტმუნდელ შტეფან როიტერს გაუსწრო.

თითქოს უცნაურია, რომ უამრავი ჯილდოს მფლობელი ფოგთსი გერმანელებმა მეორე ადგილისთვის გაიმეტეს, მაგრამ შოტლანდიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი სამშობლოში გულზე დიდად არასოდეს ეხატებოდათ. ის ყოველთვის სიტყვაძუნწი იყო.

მანფრედ კალცს ბუნდესლიგაში 581 მატჩი უთამაშია, რაც მეორე მაჩვენებელია. 291 მატჩი მოუგია, 60-დან 53 პენალტიც შეუგდია და... 6 ავტოგოლიც მიუთვლია. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მფლობელია, 1980-ში კი ევროპის ჩემპიონი გახდა. „ჰამბურგთან“ ერთად ჩემპიონთა და თასების თასიც აღუმართავს. ამჟამად მანფრედ კალცი „ჰამბურგის“ საფეხბურთო სკოლას თავკაცობს.

ლიბეროთა შორის პირველობა, რა თქმა უნდა, ფრანც ბეკენბაუერს ერგო. მან ხმათა 70 პროცენტი მიიღო და მათიას ზამერს მეორე ადგილიღა დაუტოვა. დორტმუნდის „ბორუსიის“ ამჟამინდელ მწვრთნელს გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არც ჰქონდა. „კაიზერ ფრანცი“ დღეს გერმანიაში უპოპულარულესი კაცია და თავისი ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელიცაა. ამბობენ, რომ მოინდომოს, კანცლერის სავარძელს უპრობლემოდ მოირგებსო.

მცველთა ოთხეულში იურგენ კოლერიც მოხვდა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ყველა ევროთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელმა, გერმანიისა და იტალიის საუკეთესო ფეხბურთელმა კარლ ჰაინც ფიორსტერი და გვიდო ბუხვალდი ჩამოიტოვა.

1995-ში „იუვენტუსიდან“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ დაბრუნებულ კოლერს „ჯართი“ და „მონჯღრეული“ უწოდეს, მაგრამ შარშან სწორედ მისი ძალისხმევით გახდა „ბორუსია“ ბუნდესჩემპიონი. ერთხელ, ჟურნალისტის კითხვაზე, ვის შეიყვანდა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში, ფეხბურთელმა უპასუხა: „თერთმეტ იურგენ კოლერს“.

მეოთხე რჩეული უკანასკნელი პაულ ბრაიტნერია. მას კვალში ანდრეას ბრემე და ჰანს-პეტერ ბრიგელი ჩაუდგნენ.

1974-ში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაიტნერმა ჰოლანდიას პენალტით გაუთანაბრა, ბრემეს გოლით კი 1990-ში გერმანიამ არგენტინას სძლია. პაულ ბრაიტნერი დღესაც, ისევე როგორც ახალგაზრდობისას, წვეროსანი კაცია.

მეკარე და ოთხი მცველი მოვილიეთ. ახლა ნახევარდაცვას მივხედოთ. აქ გერმანელებმა სამი ვეშაპი აირჩიეს — ლოთარ მათეუსი, როგორც დაცვის საიმედო დამხმარე, თომას ჰესლერი, როგორც საუკეთესო შემტევი და ლეგენდარული გიუნტერ ნეტცერი, ნახევარდაცვის მეფე.

ლოთარ მათეუსი თავის ამპლუაში პირველობას ვის დაუთმობდა. მის სანაკრებო მონაგარს, 150 მატჩს, ალბათ დიდხანს ვერავინ მისწვდება.

კუსპარა და ვერცხლისწყალივით მოძრავი თომას ჰესლერი პატივცემული კაცია. ლოთარ მათეუსის, იურგენ კლინსმანის, იურგენ კოლერისა და ფრანც ბეკენბაუერის შემდეგ მეხუთეა, ვისაც ნაკრებში ასზე მეტი მატჩი მოუქუჩრებია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ჰესლერს საკლუბო დონეზე ჯილდო არ მოუგია.

უდიდესი სტრატეგი, გიუნტერ ნეტცერი 1972 წლის ნაკრების ლიდერი იყო და იმ ნაკრებს გერმანელები არსებობის ისტორიაში საუკეთესოდ თვლიან. 1973-ში იგი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სამი თავდამსხმელი დავკრიბეთ, მარჯვენა, მარცხენა და ცენტრფორვარდი.

მემარჯვენეებში საუკეთესოდ რაინჰარდტ ლიბუდა აღიარეს, რომელმაც პიერ ლიტბარსკის და იურგენ კლინსმანს აჯობა. ლიბუდაზე ამბობდნენ, მეტოქეს სატელეფონო ჯიხურშიც კი გააცურებსო. მისი მთავარი მონაგარი თასების თასთა ფინალში (1966) „ლივერპულის“ კარში გატანილი გამარჯვების გოლია. გელზენკირხენის „შალკეს“ ყოფილი ფეხბურთელი 1996-წელს 53 წლისა გულის დავადებით გარდაიცვალა.

ცენტრფორვარდებში ურჩევნია მიულერს მოცილე არავინ ჰყოლია. მას გვარიანად ჩამორჩნენ უვე ზელერი და კლაუს ფიშერი. „მის გარეშე 70-იან წლებში გერმანიის ნაკრები ვერაფერს მოიგებდა — თქვა ფრანც ბეკენბაუერმა — ახლა ბუნდესლიგაში რომ ითამაშოს, სეზონში 80 გოლს გაიტანს“. გერდ მიულერზე ციფრები ლაპარაკობენ: 68 სანაკრებო მატჩში 62, 427 ბუნდესლიგურში კი 365 გოლი მიითვალა.

მემარცხენე ფორვარდების არჩევისას გამოკითხულთა აზრი ორად გაიყო. საბოლოოდ რუდი ფიოლერმა კარლ-ჰაინც რუმენიგეს მცირედით აჯობა, მესამეზე კი „შალკეს“ ამჟამინდელი მწვრთნელი, იუპ ჰაინკესი აღმოჩნდა.

ჩამოთვლილ თერთმეტ ფეხბურთელს მწვრთნელი ხომ სჭირდება?

ამ შემთხვევაში გამოკითხვის შედეგები აშკარად მოულოდნელია. ოტმარ ჰიცფელდს და უდო ლატეკს უამრავი ჯილდოები მოუგიათ, მაგრამ პირველ კაცად მაინც ჰენეს ვაისვაილერი დასახელეს. მისი თამადობით პროვინციულმა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ სასწაულები ჩაიდინა — სამჯერ (1970, 1971, 1975) ბუნდესლიგა მოიგი და 1975-შივე უეფას თასიც აღმართა. გარდა ამისა, „ბორუსიაში“ გაშალეს ფრთები ნეტცერმა, ფოგთსმა, ჰაინკესმა, ბონჰოფმა, შტილიკემ და სხვებმა. ჰენეს ვაისვაილერი 64 წლის 1983 წლის 5 ივლისს გარდაიცვალა.

ვაჟა ხუციშვილი

გერდ მიულერი



მამლების მამალი მეგოლე

ლონდონში პორტუგალიური დაყივლეს



ელდერ პოსტიგა

„ტოტენჰემის“ პრეზიდენტმა დანიელ ლევიმ რამდენიმე კვირის წინ გლენ ჰოდლს ხელი ხელზე დაურტყა — მწვრთნელი კვლავაც შენ იქნებიო.

გლენ ჰოდლის გუნდიდან ერთი ბებერი „მამალი“ ტედი შერინგემი „პორტსმუთში“ წავიდა. გუნდის შემტევი ხაზი ნახევრად დაობლდა, რადგან მხოლოდ რობი კინიღა დარჩა.

ირლანდიელს კარგი მეწყვილე სჭირდებოდა და მამალთმზვერავნი ივნისის თვეში ახალ ფორვარდს ეძებდნენ. ისინი ჯერ „დეპორტივოს“ ვალტერ პანდიანისთვის მიადგნენ. თავიდან საქმე თითქოს გაიჩარხა კიდეც, მაგრამ ბოლო წამს გარიგება ჩაფლავდა. დანიელ ლევი არშემდგარმა ტრანსფერმა ისე გააანჩხლა, რომ სავარაუდო შენაძენთა ნუსხიდან ვალტერ პანდიანის გვარის ამოშლისას ოთხი საწერ-კალამი დაამტვრია.

ლონდონელები ევროპის კენკვაში ნაღდად ნიჭიერ მეგოლეს წაწყდნენ. ის ოდენ ოცი წლისაა და ელდერ პოსტიგა ჰქვია. „პორტუს“ შემადგენლობაში მან წლეულს 19 გოლი მიითვალა, ჩემპიონი გახდა, ქვეყნის თასიც მოიგო და უეფას თასიც.

ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მას ერონვნული მაისურაც მოარგო და ბოლივიასთან ამხანაგურ მატჩში პოსტიგამ დუბლი მიითვალა.

ყმაწვილკაცმა „ტოტენჰემთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სანაცვლოდ ამ ხნის მანძილზე 6 მილიონ 250 ათას ევროს მიიღებს და ზედ პრემიებსაც თუ დავუმატებთ, თანხამ შეიძლება კიდევ ორი მილიონით იბარტყოს.

გლენ ჰოდლი: „ის ახალგაზრდა, ნიჭიერი და საგოლე ალღოთი დაჯილდოებული კაცია. ვფიქრობ, რობი კინთან ერთად საკმაოდ მომხიბვლელ დუეტს შექმნის“.

ვაჟა ხუციშვილი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ფეხბურთი გახლავთ ყველაზე არსებითი არაარსებით მოვლენათა შორის

ფრანც ბეკენბაუერი

მართლაც, რა არის ფეხბურთი? ყველას გვახსოვს, როგორ პასუხობს ამ კითხვაზე იპოლიტე ხვიჩიას პერსონაჟი ფილმიდან „ფეოლა". ის პასუხი სასაცილოა, მაგრამ ცუდ გუნებაზე მყოფი კაცი რომ დაუკვირდეს, ფეხბურთთან დაკავშირებით ყველაფერი კომიკურად მოეჩვენება —ბურთაობა, რომლის გარშემოც მთელი სამყაროა აგებული, რომელმაც უკვე თაობათა ცხოვრება მოითხოვა და რომლის გამოც თვითმკველობები (!) მომხდარა. დიახ, ფეხბურთი არ გახლავთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა. ის, რომ არ იყოს, კაცობრიობა სხვანაირი კი იქნებოდა, მაგრამ გარწმუნებთ, იქნებოდა და მის არსებობას უფეხბურთობა ვერაფერს დააკლებდა. არა, ფეხბურთი არსებითი რამ არ გახლავთ: ღმერთმა ნუ ქნას, დედამიწაზე რაიმე „ფორს მაჟორი" რომ დატრიალდეს, ერთ-ერთი პირველი, რასაც ადამიანები შეელევიან სწორედ ფეხბურთი იქნება, მაგრამ...

მაგრამ რა ვუყოთ ფრანც ბეკენბაუერს? იგი ხომ ორ წელიწადში სამოცის გახდება და მთელი სასიცოცხლო ენერგია ფეხბურთს შეალია. ანუ, რა ვუყოთ ამ გამორჩეული, ნიჭიერი, ძლიერი, სიმპათიური გამარჯვებული ადამიანის ცხოვრებას, ბათილად გამოვაცხადოთ? მაშინ, ბათილად უნდა გამოცხადდეს ამ წერილის ავტორის და მილიონობით სხვა დედამიწელის ცხოვრებაც, რადგან ბეკენბაუერმა და მისთანებმა მათ ჩამოყალიბებაში როლი ითამაშეს, რადგან ჩვენ, მილიონებმა, მასზე და მათზე საუბარში საათები გავატარეთ და ისინი, თავიანთი ნიჭის გამო ჩვენს ნაწილად იქცნენ.

მოდით, ის, რაც ჩვენი პიროვნების ნაწილია, სისულელედ არ გამოვაცხადოთ. შევთანხმდეთ!

ხოლო ბეკენბაუერი, მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონი ფეხბურთელი, გერმანიის ჩემპიონი მწვრთნელი, ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი ფეხბურთელი, უეფას თასის მფლობელი მწვრთნელი, თასების თასის მფლობელი ფეხბურთელი, გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი ფეხბურთელი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების კაპიტანი 50 შეხვედრაში, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კლუბის პრეზიდენტი. და კიდევ უამრავი ლიგის გამარჯვებული კლუბის პრეზიდენტი, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და კიდევ უამრავი ტიტულის მფლობელი (მაგალითად, გფრ-ს თასი, აშშ-ის ჩემპიონობა აქ არ გვიხსენებია), 50 წლისა რომ გახდა და დიდი იუბილე გადაიხადა, სუფრაზე მისი ცხოვრების სამივე თანამგზავრი ქალბატონი ჰყავდა მიწვეული, ანუ მეუღლე და ორი ყოფილი მეუღლე. და, ბუნებრივია, გულმა გიგრძნოთ, რომ სამივემ დააფასა „კაიზერ ფრანცი" თუ... ვინ იცის დიდი ფეხბურთი, ყველაზე არსებითი არაარსებით მოვლენათა შორის, რომელსაც თავის დროზე ცოლად გაჰყვნენ.



„კაიზერ ფრანცი", ანუ მეფე, ასეც იცნობენ ფრანც ბეკენბაუერს პლანეტის სხვადასხვა კუთხეში. ის მართლაც მეფურ ფეხბურთს თამაშობდა, ამაყი იყო, დიადი და გენიალური იმით, რომ ლიბერო გუნდის მთავარი ფიგურა, თვით შეტევათა ორგანიზატორი ბრძანდებოდა. ის იმდენად კაიზერი გახლდათ, რომ კაცმა შეიძლება არც იკითხოს, რატომ შეარქვეს ასეთი მეტსახელი, ჩათვალოს, რომ აქ ყველაფერი ნათელია. არადა სინამდვილეში რა სხვანაირად და მარტივად იყო: მიუნხენის „ბაიერნი" ავსტრიაში სტუმრობდა, ბეკენბაუერი მაშინ ახალგაზრდა გახლდათ და ერთ დღეს მეგობრებთან ერთად ქალაქს ათვალიერებდა. მიუნხენელი ბიჭების ჯგუფი ბედმა ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის, კაიზერ ფრანც იოზეფის ძეგლთან მიიყვანა. ერთ-ერთმა ძეგლს ახედა და უი, როგორ გგავსო, უთხრა ფეხბურთის მომავალ კაიზერს. ეს იყო და ეს.

კიდევ, იყო იოჰან კრუიფი, დიდი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ზოგის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის უდიადესიც, რომელიც არაარსებით მოვლენას კაიზერ ფრანცის ეპოქაში, და მასთან ერთად სძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ისინი მეტოქეები გახლდნენ. მათი მეტოქეობის მწვერვალი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გახლდათ, რომელშიც გფრ-მ 2:1 მოიგო, ანუ ჩემპიონი გახდა, მაგრამ აქ კრუიფი სხვა მიზეზით ვახსენეთ. ერთგან ის, თვით კრუიფი, ბეკენბაუერის თამაშს მეტად საინტერესოდ იხსენებდა და ამის თქმა გვსურდა. კერძოდ, იგი იგონებდა, როგორ იცავდა თავს გერმანელი ლიბერო, უფრო სწორად, რაოდენ გენიალურად კითხულობდა თამაშს. შეტევის დროს, როდესაც მისი კარისკენ იწევდი, ბეკენბაუერი პოზიციას ირჩევდა, მანევრირებდა და როდესაც ბურთის წასართმევად გამოიწევდა, ხვდებოდი, რომ წინასწარი მანევრებით თავისთვის ყველაზე მოხერხებულ და შენთვის ყველაზე მოუხერხებელ ადგილას და მდგომარეობაში შეგიტყუაო.

ხოლო, თავად კაიზერს რა ახსოვს ყველაზე მკაფიოდ თავისი დიდი კარიერიდან? ალბათ, უამრავი რამ, თუმცა ჩვენ მის ერთ ისეთ მოგონებას გადავწყდით, რომ გადავწყვიტეთ, ათასი ჯილდოს აღმართვაზე და მისთანებზე წინ დაგვეყენებინა:

„მექსიკის 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჯადოსნური შეჯიბრება იყო. ქომაგები ნამდვილი ფანატიკოსები გახლდნენ, უსაფრთხოების ზომები კი დღევანდელისგან ძლიერ განსხვავდებოდა. იმ დროში შენი სურვილისამებრ ძალიან ბევრის გაკეთება შეგეძლო. შესასვლელის გარეთ მხოლოდ ერთი შეიარაღებული პოლიციელი იჯდა და მარტო უყურებდა მთელ სტადიონს. ეს ხომ დღეს წარმოუდგენელია. მაშინ ყველანი გაცილებით ლაღები ვიყავით. მექსიკა ფერადი იყო, ქვეყანა იცინოდა, ფეხბურთელები ცეკვავდნენ".

სხვა რა? ის, რომ ფრანც ბეკენბაუერი დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს (ფუი, ეშმაკსა და ბენ ლადენს) მიუნხენში, საფოსტო დეპოს გენერალური მენეჯერის ოჯახში, ფეხბურთის თამაში 9 წლისამ დაიწყო, მისი პირველი გუნდი, ბავშვთა „მიუნხენ 06" გახლდათ, 1958 წელს კი „ბაიერნში" აიყვანეს.

ისე, დააკვირდით, როდის დაიბადა — ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციიდან ოთხ თვესა და ორ დღეში. ოი, რა შორს წაგვიყვანდა ამაზე ფიქრი... ოი, სადა ხარ გამარჯვებულო და სად დამარცხებულო...

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი გახლდათ, რადგან იმ გუნდის მწვრთნელობაზე უკეთესი, რომელიც შენს ხელში პლანეტის ჩემპიონი ხდება, ვეღარაფერი იქნება" — ფრანც ბეკენბაუერი.

ბაბუნა კედია





გაქცევა ლიონიდან ეტო აქა, ეტო იქა

დღეს კონფედერაციის თასის ნახევარფინალში კამერუნი კოლუმბიას შეეხეთქება. აფრო-ამერიკულ ჯახს, შესაძლოა, ერთი ლომი, სამუელ ეტოო დააკლდეს. იგი ნაკრების ბანაკიდან მალიორკაში გაიძურწა.

პრიმერადივიზიონი მიილია და რა ემალიორკებაო, იკითხავთ. დიახაც, რომ მიილია, მაგრამ ერთი თამაში დარჩა — სამეფო თასის ფინალი, რომელშიც ეტოოს გუნდი აწ უკვე სეგუნდადივიზიონელი „უელვას" სატახტო მადრიდში დაუხვდება.

კლუბი კლუბად, მაგრამ ეროვნული ნაკრები? მთავარმეკოლემ კამერუნს ესპანური გვირგვინი არია?

კონფედერაციული ნახევარფინალი დღესაა, ანუ 26 ივნისს, ესპანეთის თასის ფინალი კი ზეგ, ანუ 28 ივნისს. სამუელ ეტოოს შეეძლო დღეს თავისებს კოლუმბიელთა წინააღმდეგ დახმარებოდა, თუნდაც ერთი ტაიმით, მერე კი მალიორკისკენ აუკრა გუდანაბადი.

აი, კიდევ ერთი გარემოება — თუ კამერუნი ფინალში გააღწევს, რომელიც 29 ივნისს (კვირაა) გაიმართება, სეჭვოა, რომ „უელვასთან" ნათამაშებმა, გაღაღლილმა ფეხბურთელმა ფინალში მოედანზე გასვლა შეძლოს. მოკლედ, სამუელ ეტოო კაცია და არა შუაზე გასაჭრელი ხორცის ნაჭერი.

ერთი ნაღდია — ამჟამად ფორვარდი ესპანეთშია და კლუბთან ერთად სამეფო მატჩისთვის ემზადება.

კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ მაუბი: „ჩვენ მალიორკელებს შევეხმიანეთ და ვთხოვეთ, საღღეისოდ ფეხბურთელი გვასესხონ, ნამატჩევს კი უკან დავუბრუნებთ, ორი თვის წინ შევთანხმდით, რომ სამეფო თასის ფინალისთვის სამუელ ეტოოს კლუბში გავუშვებდით, მაგრამ ვითარება ნახევარფინალში ჩვენმა გასვლამ შეცვალა."

კამერუნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვიცე-პრეზიდენტს კვერი დაუკრა: „ესპანეთიდან ლიონში და პირიქით მგზავრობას სულ ერთი საათი სჭირდება, ეს ხომ ნიუ იორკი ან სან ფრანცისკო არ არის. ითამაშებდა კოლუმბიასთან და აქედან ერთ საათში მალიორკაში ჩაფრინდებოდა. ყველა ფეხბურთელისთვის ეროვნული ნაკრები უმთავრესი უნდა იყოს, მერე კი კლუბია".

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისის პრემიერლიგა 2003–2004

ჩემპიონი „მანჩესტერი“ „ბოლტონით“ იწყებს

ინგლისური პრემიერლიგის კალენდარი რაღაცას დაემსგავსა. იმის თქმა გვსურს, აქამდე როგორც იყო — ტურის დასწყისს და დასასრულს რომ ვერ გაიგებდით, ეგრე აღარაა, მომდევნო სეზონისთვის შემდგენელებმა კალენდარს ადამიანური სახე მისცეს.

ისიც თვალში საცემია, რომ ახალ წელს ტური აღარ იქნება, თუმცა ტრადიციების მოყვარული ინგლისელები ყოველ მეორე-მესამე დღეს თამაშის ტრადიციას მაინც ვერ შეელიენ.

1-ლი ტური. 16 აგვისტო, 2003

არსენალი — ევერტონი
ბირმინგემი — ტოტენჰემი
ბლეკბერნი — ვულვზი
ჩარლტონი — სიტი
ფულემი — მიდლსბრო
ლიდსი — ნიუკასლი
ლესტერი — საუთჰემპტონი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერი — ბოლტონი
პორტსმუთი — ასტონ ვილა

მე-2 ტური. 23 აგვისტო

ასტონ ვილა — ლივერპული
ბოლტონი — ბლეკბერნი
ჩელსი — ლესტერი
ევერტონი — ფულემი
სიტი — პორტსმუთი
მიდლსბრო — არსენალი
ნიუკასლი — მანჩესტერი
საუთჰემპტონი — ბირმინგემი
ტოტენჰემი — ლიდსი
ვულვზი — ჩარლტონი

მე-3 ტური. 26 აგვისტო

არსენალი — ასტონ ვილა
ბირმინგემი — ჩელსი
ჩარლტონი — ევერტონი
ლიდსი — საუთჰემპტონი
ლესტერი — მიდლსბრო
პორტსმუთი — ბოლტონი
ფულემი — ნიუკასლი
ბლეკბერნი — სიტი
ლივერპული — ტოტენჰემი
მანჩესტერი — ვულვზი

მე-4 ტური. 30 აგვისტო

ასტონ ვილა — ლესტერი
ბოლტონი — ჩარლტონი
ჩელსი — ბლეკბერნი
ევერტონი — ლივერპული
სიტი — არსენალი
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — ფულემი
ვულვზი — პორტსმუთი

მე-5 ტური. 13 სექტემბერი

არსენალი — პორტსმუთი
ბირმინგემი — ფულემი
ბლეკბერნი — ლივერპული
ბოლტონი — მიდლსბრო
ჩარლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — ტოტენჰემი
ევერტონი — ნიუკასლი
ლესტერი — ლიდსი
სიტი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — ვულვზი

მე-6 ტური. 20 სექტემბერი

ასტონ ვილა — ჩარლტონი
ფულემი — სიტი
ლიდსი — ბირმინგემი
ლივერპული — ლესტერი
მანჩესტერი — არსენალი
მიდლსბრო — ევერტონი
ნიუკასლი — ბოლტონი
პორტსმუთი — ბლეკბერნი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
ვულვზი — ჩელსი

მე-7 ტური. 27 სექტემბერი

არსენალი — ნიუკასლი
ბირმინგემი — პორტსმუთი
ბლეკბერნი — ფულემი
ბოლტონი — ვულვზი
ჩარლტონი — ლივერპული
ჩელსი — ასტონ ვილა
ევერტონი — ლიდსი
ლესტერი — მანჩესტერი
სიტი — ტოტენჰემი
საუთჰემპტონი — მიდლსბრო

მე-8 ტური. 4 ოქტომბერი

ასტონ ვილა — ბოლტონი
ფულემი — ლესტერი
ლიდსი — ბლეკბერნი
ლივერპული — არსენალი
მანჩესტერი — ბირმინგემი
მიდლსბრო — ჩელსი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
პორტსმუთი — ჩარლტონი
ტოტენჰემი — ევერტონი
ვულვზი — სიტი

მე-9 ტური. 18 ოქტომბერი

არსენალი — ჩელსი
ბირმინგემი — ასტონ ვილა
ბლეკბერნი — ჩარლტონი
ევერტონი — საუთჰემპტონი
ფულემი — ვულვზი
ლიდსი — მანჩესტერი
ლესტერი — ტოტენჰემი
სიტი — ბოლტონი
მიდლსბრო — ნიუკასლი
პორტსმუთი — ლივერპული

მე-10 ტური. 25 ოქტომბერი

ასტონ ვილა — ევერტონი
ბოლტონი — ბირმინგემი
ჩარლტონი — არსენალი
ჩელსი — სიტი
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერი — ფულემი
ნიუკასლი — პორტსმუთი
საუთჰემპტონი — ბლეკბერნი
ტოტენჰემი — მიდლსბრო
ვულვზი — ლესტერი

მე-11 ტური. 1 ნოემბერი

ბირმინგემი — ჩარლტონი
ევერტონი — ჩელსი
ფულემი — ლივერპული
ლიდსი — არსენალი
ლესტერი — ბლეკბერნი
მანჩესტერი — პორტსმუთი
მიდლსბრო — ვულვზი
ნიუკასლი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — სიტი
ტოტენჰემი — ბოლტონი

მე-12 ტური. 8 ნოემბერი

არსენალი — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ბლეკბერნი — ევერტონი
ბოლტონი — საუთჰემპტონი
ჩარლტონი — ფულემი
ჩელსი — ნიუკასლი
ლივერპული — მანჩესტერი
სიტი — ლესტერი
პორტსმუთი — ლიდსი
ვულვზი — ბირმინგემი

მე-13 ტური. 22 ნოემბერი

ბირმინგემი — არსენალი
ევერტონი — ვულვზი
ფულემი — პორტსმუთი
ლიდსი — ბოლტონი
ლესტერი — ჩარლტონი
მანჩესტერი — ბლეკბერნი
მიდლსბრო — ლივერპული
ნიუკასლი — სიტი
საუთჰემპტონი — ჩელსი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა

მე-14 ტური. 29 ნოემბერი

არსენალი — ფულემი
ასტონ ვილა — საუთჰემპტონი
ბლეკბერნი — ტოტენჰემი
ბოლტონი — ევერტონი
ჩარლტონი — ლიდსი
ჩელსი — მანჩესტერი
ლივერპული — ბირმინგემი
სიტი — მიდლსბრო
პორტსმუთი — ლესტერი
ვულვზი — ნიუკასლი

მე-15 ტური. 6 დეკემბერი

ბირმინგემი — ბლეკბერნი
ევერტონი — სიტი
ფულემი — ბოლტონი
ლიდსი — ჩელსი
ლესტერი — არსენალი
მანჩესტერი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — პორტსმუთი
ნიუკასლი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ჩარლტონი
ტოტენჰემი — ვულვზი

მე-16 ტური. 13 დეკემბერი

არსენალი — ბლეკბერნი
ასტონ ვილა — ვულვზი
ჩელსი — ბოლტონი
ლიდსი — ფულემი
ლესტერი — ბირმინგემი
ლივერპული — საუთჰემპტონი
მანჩესტერი — სიტი
მიდლსბრო — ჩარლტონი
ნიუკასლი — ტოტენჰემი
პორტსმუთი — ევერტონი

მე-17 ტური. 20 დეკემბერი

ბირმინგემი — მიდლსბრო
ბლეკბერნი — ასტონ ვილა
ბოლტონი — არსენალი
ჩარლტონი — ნიუკასლი
ევერტონი — ლესტერი
ფულემი — ჩელსი
სიტი — ლიდსი
საუთჰემპტონი — პორტსმუთი
ტოტენჰემი — მანჩესტერი
ვულვზი — ლივერპული

მე-18 ტური. 26 დეკემბერი

არსენალი — ვულვზი
ბირმინგემი — სიტი
ბლეკბერნი — მიდლსბრო
ჩარლტონი — ჩელსი
ფულემი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ასტონ ვილა
ლესტერი — ნიუკასლი
ლივერპული — ბოლტონი
მანჩესტერი — ევერტონი
პორტსმუთი — ტოტენჰემი

მე-19 ტური. 28 დეკემბერი

ასტონ ვილა — ფულემი
ბოლტონი — ლესტერი
ჩელსი — პორტსმუთი
ევერტონი — ბირმინგემი
სიტი — ლივერპული
მიდლსბრო — მანჩესტერი
ნიუკასლი — ბლეკბერნი
საუთჰემპტონი — არსენალი
ტოტენჰემი — ჩარლტონი
ვულვზი — ლიდსი

მე-20 ტური. 7 იანვარი, 2004

ასტონ ვილა — პორტსმუთი
ბოლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — ლივერპული
ევერტონი — არსენალი
სიტი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ფულემი
ნიუკასლი — ლიდსი
საუთჰემპტონი — ლესტერი
ტოტენჰემი — ბირმინგემი
ვულვზი — ბლეკბერნი

21-ე ტური. 10 იანვარი

არსენალი — მიდლსბრო
ბირმინგემი — საუთჰემპტონი
ბლეკბერნი — ბოლტონი
ჩარლტონი — ვულვზი
ფულემი — ევერტონი
ლიდსი — ტოტენჰემი
ლესტერი — ჩელსი
ლივერპული — ასტონ ვილა
მანჩესტერი — ნიუკასლი
პორტსმუთი — სიტი

22-ე ტური. 17 იანვარი

ასტონ ვილა — არსენალი
ბოლტონი — პორტსმუთი
ჩელსი — ბირმინგემი
ევერტონი — ჩარლტონი
სიტი — ბლეკბერნი
მიდლსბრო — ლესტერი
ნიუკასლი — ფულემი
საუთჰემპტონი — ლიდსი
ტოტენჰემი — ლივერპული
ვულვზი — მანჩესტერი

23-ე ტური. 31 იანვარი

არსენალი — სიტი
ბირმინგემი — ნიუკასლი
ბლეკბერნი — ჩელსი
ჩარლტონი — ბოლტონი
ფულემი — ტოტენჰემი
ლიდსი — მიდლსბრო
ლესტერი — ასტონ ვილა
ლივერპული — ევერტონი
მანჩესტერი — საუთჰემპტონი
პორტსმუთი — ვულვზი

24-ე ტური. 7 თებერვალი

ასტონ ვილა — ლიდსი
ბოლტონი — ლივერპული
ჩელსი — ჩარლტონი
ევერტონი — მანჩესტერი
სიტი — ბირმინგემი
მიდლსბრო — ბლეკბერნი
ნიუკასლი — ლესტერი
საუთჰემპტონი — ფულემი
ტოტენჰემი — პორტსმუთი
ვულვზი — არსენალი

25-ე ტური. 10 თებერვალი

არსენალი — საუთჰემპტონი
ბირმინგემი — ევერტონი
ჩარლტონი — ტოტენჰემი
ლიდსი — ვულვზი
ლესტერი — ბოლტონი
პორტსმუთი — ჩელსი
ბლეკბერნი — ნიუკასლი
ფულემი — ასტონ ვილა
ლივერპული — სიტი
მანჩესტერი — მიდლსბრო

26-ე ტური. 21 თებერვალი

ასტონ ვილა — ბირმინგემი
ბოლტონი — სიტი
ჩარლტონი — ბლეკბერნი
ჩელსი — არსენალი
ლივერპული — პორტსმუთი
მანჩესტერი — ლიდსი
ნიუკასლი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ევერტონი
ტოტენჰემი — ლესტერი
ვულვზი — ფულემი

27-ე ტური. 28 თებერვალი

არსენალი — ჩარლტონი
ბირმინგემი — ბოლტონი
ბლეკბერნი — საუთჰემპტონი
ევერტონი — ასტონ ვილა
ფულემი — მანჩესტერი
ლიდსი — ლივერპული
ლესტერი — ვულვზი
სიტი — ჩელსი
მიდლსბრო — ტოტენჰემი
პორტსმუთი — ნიუკასლი

28-ე ტური. 13 მარტი

ბირმინგემი — ლესტერი
ბლეკბერნი — არსენალი
ბოლტონი — ჩელსი
ჩარლტონი — მიდლსბრო
ევერტონი — პორტსმუთი
ფულემი — ლიდსი
სიტი — მანჩესტერი
საუთჰემპტონი — ლივერპული
ტოტენჰემი — ნიუკასლი
ვულვზი — ასტონ ვილა

29-ე ტური. 20 მარტი

არსენალი — ბოლტონი
ასტონ ვილა — ბლეკბერნი
ჩელსი — ფულემი
ლიდსი — სიტი
ლესტერი — ევერტონი
ლივერპული — ვულვზი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
მიდლსბრო — ბირმინგემი
ნიუკასლი — ჩარლტონი
პორტსმუთი — საუთჰემპტონი

30-ე ტური. 27 მარტი

არსენალი — მანჩესტერი
ბირმინგემი — ლიდსი
ბლეკბერნი — პორტსმუთი
ბოლტონი — ნიუკასლი
ჩარლტონი — ასტონ ვილა
ჩელსი — ვულვზი
ევერტონი — მიდლსბრო
ლესტერი — ლივერპული
სიტი — ფულემი
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი

31-ე ტური. 3 აპრილი

ასტონ ვილა — სიტი
ფულემი — ბირმინგემი
ლიდსი — ლესტერი
ლივერპული — ბლეკბერნი
მანჩესტერი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ბოლტონი
ნიუკასლი — ევერტონი
პორტსმუთი — არსენალი
ტოტენჰემი — ჩელსი
ვულვზი — საუთჰემპტონი

32-ე ტური. 10 აპრილი

არსენალი — ლივერპული
ბირმინგემი — მანჩესტერი
ბლეკბერნი — ლიდსი
ბოლტონი — ასტონ ვილა
ჩარლტონი — პორტსმუთი
ჩელსი — მიდლსბრო
ევერტონი — ტოტენჰემი
ლესტერი — ფულემი
სიტი — ვულვზი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი

33-ე ტური. 12 აპრილი

ასტონ ვილა — ჩელსი
ფულემი — ბლეკბერნი
ლიდსი — ევერტონი
ლივერპული — ჩარლტონი
მანჩესტერი — ლესტერი
მიდლსბრო — საუთჰემპტონი
ნიუკასლი — არსენალი
პორტსმუთი — ბირმინგემი
ტოტენჰემი — სიტი
ვულვზი — ბოლტონი

34-ე ტური. 17 აპრილი

არსენალი — ლიდსი
ასტონ ვილა — ნიუკასლი
ბლეკბერნი — ლესტერი
ბოლტონი — ტოტენჰემი
ჩარლტონი — ბირმინგემი
ჩელსი — ევერტონი
ლივერპული — ფულემი
სიტი — საუთჰემპტონი
პორტსმუთი — მანჩესტერი
ვულვზი — მიდლსბრო

35-ე ტური. 24 აპრილი

ბირმინგემი — ვულვზი
ევერტონი — ბლეკბერნი
ფულემი — ჩარლტონი
ლიდსი — პორტსმუთი
ლესტერი — სიტი
მანჩესტერი — ლივერპული
მიდლსბრო — ასტონ ვილა
ნიუკასლი — ჩელსი
საუთჰემპტონი — ბოლტონი
ტოტენჰემი — არსენალი

36-ე ტური. 1 მაისი

არსენალი — ბირმინგემი
ასტონ ვილა — ტოტენჰემი
ბლეკბერნი — მანჩესტერი
ბოლტონი — ლიდსი
ჩარლტონი — ლესტერი
ჩელსი — საუთჰემპტონი
ლივერპული — მიდლსბრო
სიტი — ნიუკასლი
პორტსმუთი — ფულემი
ვულვზი — ევერტონი

37-ე ტური. 8 მაისი

ბირმინგემი — ლივერპული
ევერტონი — ბოლტონი
ფულემი — არსენალი
ლიდსი — ჩარლტონი
ლესტერი — პორტსმუთი
მანჩესტერი — ჩელსი
მიდლსბრო — სიტი
ნიუკასლი — ვულვზი
საუთჰემპტონი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — ბლეკბერნი

38-ე ტური. 15 მაისი

არსენალი — ლესტერი
ასტონ ვილა — მანჩესტერი
ბლეკბერნი — ბირმინგემი
ბოლტონი — ფულემი
ჩარლტონი — საუთჰემპტონი
ჩელსი — ლიდსი
ლივერპული — ნიუკასლი
სიტი — ევერტონი
პორტსმუთი — მიდლსბრო
ვულვზი — ტოტენჰემი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი XII ტური 29 ივნისი						
20.00	023	ლანდსკრონა-ელფსბორგი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		30 ივნისი						
22.00	024	იურგორდენი-ჰამარბი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.00	025	ენკიოპინგი-გიოტებორგი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
22.00	026	მალმიო-ჰელსინგბორგი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ნორვეგია XII ტური 29 ივნისი						
21.00	029	ბრანი-ტრომსიო	1,7	3,6	4,2	1,15	1,21	1,93
21.00	030	რუსენბორგი-ბრინი	1,2	6,0	10,0	1	1,07	3,75
	031	რუსენბორგი-ბრინი 0:1	1,55	3,4	3,6			
21.00	032	ალესუნდი-სტაბეკი	3,2	3,4	2,05	1,64	1,24	1,27
21.00	033	ვიკინგი-მოლდე	1,7	3,6	4,2	1,15	1,21	1,93
21.00	034	სოგნდალი-ბოდიო გლიმტი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
21.00	035	ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		30 ივნისი						
22.00	036	ლინი-ვოლერენგა	2,1	3,4	3,1	1,29	1,25	1,62

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. IX ტური 26 ივნისი						
20.30	039	კტპ-ჰაამეენლინა	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
20.30	040	მიუპა-ტამპერე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
20.30	041	ტურკუ-ლაჰტი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.30	042	იარო-ჰიკ	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.30	043	ჯახი-ინტერი	2,35	3,3	2,5	1,37	1,21	1,42
21.00	044	იოკერიტი-კუოპიო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ესპანეთი. თასი. ფინალი 28 ივნისი						
24.00	055	მალიორკა-რეკრეატივო ჰუელვა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		შვედეთი. თასი 26 ივნისი						
22.00	056	აიკ-იოსტერი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.30	057	მალმიო-იურგორდენი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		კონფედერაციათა თასი 26 ივნისი						
21.00	080	კამერუნი-კოლუმბია	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
24.00	081	საფრანგეთი-თურქეთი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		26 ივნისი		
2301	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1.8	1,8
2302	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1.7	1,9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი წაგებულად ჩაითვლება)

		26 ივნისი		
2401	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1,8	2.0
2402	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1,45	2.8

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		26 ივნისი		
2201	21.00	კამერუნი-კოლუმბია	1,75	1.85
2202	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	1.8	1.8

		1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		26 ივნისი									
2101	21.00	კამერუნი-კოლუმბია	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	6,0	20,0	10,0	4,8
2102	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	2,1	12,0	25,0	3,3	4,6	10,0	20,0	10,0	9,0

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		26 ივნისი						
2001	21.00	კამერუნი-კოლუმბია	2.7	2.05	3.6			
2002	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	2.0	2.25	5.3			

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		26 ივნისი			
2501	21.00	კამერუნი-კოლუმბია	3.0	2.8	2.0
2502	24.00	საფრანგეთი-თურქეთი	3.0	2.8	2.0

უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფორმულა I. ევროპა (გერმანია). 28 ივნისი (12.00)

4001 გამარჯვებული	სამეული	ექვსეული	4002 უსწრ. წრე
მ.შუმახერი ------- 1,7	4101------ 1,15	4201-------- 1,1	1,8
ბარიკელო -------- 6,0	4102-------- 1,7	4202------ 1,25	5,0
რაიკონენი -------- 7,0	4103-------- 1,8	4203------ 1,25	5,0
მონტოია ---------- 7,0	4104-------- 1,8	4204-------- 1,3	5,0
კულტჰარდი --- 10,0	4105-------- 2,6	4205------ 1,35	10,0
რ.შუმახერი ---- 10,0	4106-------- 2,3	4206------ 1,35	10,0
ალონსო -------- 17,0	4107-------- 3,5	4207------ 1,35	17,0
ტრული --------- 35,0	4108-------- 6,0	4208-------- 1,8	35,0
ბატონი ---------- 75,0	4109------ 15,0	4209-------- 2,4	100,0
ვილნევი --------- 75,0	4110------ 15,0	4210-------- 3,0	100,0
ფიზიკელა ------- 75,0	4111------ 15,0	4211-------- 3,0	100,0
პანისი ----------- 75,0	4112------ 15,0	4212-------- 3,0	100,0
ვებერი ---------- 75,0	4113------ 15,0	4213-------- 3,0	100,0
ფრენცენი ----- 100,0	4114------ 25,0	4214-------- 3,0	100,0
ჰაიდფელდი --- 100,0	4115------ 25,0	4215-------- 3,0	100,0
და მატა ------- 100,0	4116------ 25,0	4216-------- 3,0	100,0

4301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	1,4
მაკლარენი	3,3
უილიამსი	4,6
რენო	12,0
ზაუბერი	40,0
ბარ	40,0
ჯორდანი	50,0
ტოიოტა	50,0
იაგუარი	50,0
მინარდი	200,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

კლოდ სორელმა მყინვარწვერი გადადო

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი ახლა თბილისშია და ჩვენს შვიდკაცა ნაკრებს ამ უქმეებზე თბილისში გასამართ ევროპის საშვიდკაცო სერიის ერთ-ერთი ეტაპისთვის ამზადებს.

ეს ტურნირი ტურნირად და, მსოფლიოს თასის დაწყებამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. სად და როგორ მოემზადება ჩვენი ნაკრები მსოფლიოს თასისთვის? ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს სორელის ინტერვიუდან შეიტყობთ. მასთან საუბარი კი თბილისის შვიდკაცათი დავიწყეთ

— ძალიან კარგია, რომ ეს ტურნირი თბილისში გაიმართება. ამით შვიდკაცა რაგბი უფრო მოიკიდებს ფეხს საქართველოში და გაცილებით პოპულარული გახდება. გარდა ამისა, ხალხიც კარგ სანახაობას იხილავს.

— ამ ტურნირს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად ხომ არ განიხილავთ?

— არა.

— რატომ? სერიოზულ შეჯიბრად არ აღიქვამთ თუ სხვა მიზეზია?

— როდესაც მსოფლიოს თასისთვის მზადების პროგრამა შევადგინე, ეს შეჯიბრი ამ პროგრამაში არ შემიტანია და არც ახლა ვაპირებ ამის გაკეთებას. თხუთმეტკაცა რაგბის სხვა მომზადება და ტურნირები სჭირდება.

— ესე იგი, თბილისის შვიდკაცას მთლად სერიოზულად არ მიუდგებით...

— არა, არც ასეა საქმე. ჩვენ საქართველოში ვთამაშობთ და ქართველი ხალხი უნდა გავახაროთ. ცხადია, ამისთვის ტურნირის მოგებაა საჭირო. ის, რომ თბილისის შვიდკაცა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ეტაპად არ გამოდგება, იმას არ ნიშნავს, მას გულგრილად მივუდგეთ. პირიქით, ნაკრების ყველა საუკეთესო მორაგბე ითამაშებს, ვინც კი ჯანზეა.

— გამოდის, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებთ.

— შეძლებისდაგვარად.

— მსოფლიოს თასისთვის საქართველოს თხუთმეტკაცა ნაკრების მზადების პროგრამა როგორია?

— პირველი შეკრება 21 ივლისს დაიწყება და 1 აგვისტომდე გასტანს. იგი საქართველოში მოეწყობა. 9 აგვისტოდან 16 აგვისტომდე კანადაში გვექნება შეკრება, რომლის დროსაც ორ ტესტ-მატჩს ვითამაშებთ. ერთს ალბერტას პროვინციასთან, მეორეს კანადის ეროვნულ ნაკრებთან. ამის შემდეგ საფრანგეთში გადავინაცვლებთ და ელიტარული ლიგის რომელიმე ორ გუნდს გავეჯიბრებით. სექტემბერში იტალიის ეროვნულ ნაკრებს სატესტოდ ვესტუმრებით. ავსტრალიაში გამგზავრების წინ კი სამკვირიან შეკრებაზე გადავალთ.

— ორგანიზაციული პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

— არა, საქართველოს რაგბის კავშირმა ყველაფერი დეტალურად უზრუნველჰყო.

— საქართველოში სად აპირებთ შეკრების მოწყობას? შარშან ბათუმსა და აჭარის მაღალმთიანეთში იყავით ერთი თვე...

— არა, ამჯერად აჭარაში არ ჩავალთ.

— მაშ, სად?

— ჯერ ზუსტად არ ვიცი.

— მყინვარწვერზეც აპირებდით შეგირდების ფეხით აყვანას.

— ესეც გამოირიცხა. ამ მეთოდს სხვა შეჯიბრის წინ გამოვიყენებ, მსოფლიოს თასის წინ კი ასეთი რამეებისგან თავს შევიკავებ.

— ავსტრალიაში გამგზავრების წინ გუნდი სად შეიკრიბება?

— სამკვირიანი შეკრება გვექნება საფრანგეთში. ამ დროისთვის მსოფლიოს თასზე მონაწილე ნაკრებები ტესტებს არ თამაშობენ, ამიტომ ჩვენ ფრანგულ კლუბებთან მოვაწყობთ საწვრთნელ მატჩებს.

— შეკრებაზე დაახლოებით რამდენ მორაგბეს გამოიძახებთ?

— მსოფლიოს თასზე ოცდაათი მორაგბის წაყვანის უფლება გვაქვს. შეკრებებზეც ამდენივე კაცი იქნება.

ბაჩო სვანიძე

ბორჯღალოსნები თბილისის შვიდკაცა ტურნირზე

ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კიკნაძე, ვასილ კაცაძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, გია ლაბაძე, ირაკლი გუნდიშვილი

ქართველებს წაგება უნდოდათ და ვერ წააგეს



ქალთა კალათბურთს ევროპაში კაცებისაზე არანაკლებ ყურადღებას აქცევენ. ისე, რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, სადაც ქალებს ისე ულხინთ, საერთაშორისო ტურნირებს აწყობენ. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ბაქოში ამ უქმეებზე უნდა გამართულიყო, მაგრამ რამდენიმე გუნდის ჩაუსვლელობის გამო ამხანაგური ბურთაობალა გაჩაღდა. ბაქოურ თამაშებში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, რომლის გამგზავრება შეკონინებული თანხებით მოხერხდა. აზერბაიჯანულ ამბებზე გვესაუბრება ვეტერანი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელი მედეა მხეიძე...

— არა აქვს მნიშვნელობა, სად ვიყავით და ვის ვეთამაშეთ, მთავარია ფაქტი — წლების განმავლობაში არარსებული საქართველოს ნაკრები შეიკრიბა

— რომ არა აზერბაიჯანელთა მიწვევა, ნაკრები თუ შეიკრიბებოდა?

— არა მგონია, ეს ხომ ერთჯერადი, კონკრეტული ტურნირისთვის სახელდახელო შეკრება იყო.

— როგორ დაგიკავშირდნენ აზერბაიჯანელები?

— ჩვენს კალათბურთის ფედერაციაში გამოაგზავნეს მოწვევა, საერთაშორისო ტურნირს ვატარებთ და თუ გვეწვევითო. ტურნირში აზერბაიჯანის, მოლდოვის, ტაჯიკეთის ნაკრებებისა და ასტრახანისა და ბაქოს გუნდების მონაწილეობა იგეგმებოდა. თუმც ბაქოში მხოლოდ ჩვენი ნაკრები ჩავიდა, ტაჯიკეთის, მოლდოვისა და ასტრახანის გუნდებს რაღაც პრობლემები შეექმნათ.

— თქვენ უპრობლომოდ გაემგზავრეთ აზერბაიჯანში?

— ჩვენს ნაკრებს უფრო სერიოზული, ფინანსური პრობლემა ჰქონდა, რომელიც ფედერაციის, კალათბურთელების და ნავთობპროდუქტების კომპანია „ეკო ჯორჯიას“ ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდა. მგზავრობის ფული ფედერაციამ მოგვცა, შეკრების, ფორმების, ქუთაისიდან მოწვეული კალათბურთელების ბინის ქირისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების უზრუნველსაყოფი თანხები კი „ეკო ჯორჯიამ“ გაიღო. ბაქოში ცხოვრებას და კვებას მასპინძლები კისრულობდნენ. ასე მოვახერხეთ აზერბაიჯანში წასვლა.

— სპონსორი თავად მოიძიეთ თუ ფედერაციამ?

— „ეკო ჯორჯიას“ პირადად მე დავუკავშირდი. მისი გენერალური დირექტორის მოადგილე ბერძენი გიორგოს სტომატისი ჩემი მეგობარია. სხვათა შორის, ეს ის პიროვნებაა, 1998 წლის „ვითა“ — „აზოტის“ ფინალური სერიის მატჩები რომ იმსაჯა. გიორგოსს და „ეკო ჯორჯიას“ სწორედ იმ ფინალების შემდეგ დავუახლოვდი. კალათბურთსაც ვთამაშობდით ერთად. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ასევე „ეკო ჯორჯიას“ მენეჯერ ლიკა ფირალიშვილს, რომ არა მისი მხარდაჭერა, ჩვენი ნაკრები აზერბაიჯანში ვერ გაემგზავრებოდა.

— ახლა საკუთრივ ბაქოურ ამბებზე...

— ბაქოელები ძალიან კარგად დაგვხვდნენ, დიდ პატივში ვყავდით. სამწუხაროა, რომ ყველა გუნდმა ვერ მოახერხა ჩამოსვლა, მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშეთ, აზერბაიჯანის ნაკრებს 20 ქულით მოვუგეთ, ბაქოს „ნეფჩის“ — 13-ით.

— თქვენ თუ ითამაშეთ? ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელი ხართ...

— მხოლოდ პირველ მატჩში, მეორეში აღარ მითამაშია. წაგება გვინდოდა და იმიტომ. ცუდი არაფერი იფიქროთ, უბრალოდ, ტაქტის ამბავი იყო. ამ მატჩებმა აზერბაიჯანელთა დიდი ყურადღება მიიპყრო, თამაშებს მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ. პირველი მატჩი 20 ქულით რომ მოვიგეთ, მასპინძლებს ნირი წაუხდათ. ტურნირი მაინც არ მოეწყო, ამხანაგური მატჩები იყო და გვინდოდა, აზერბაიჯანელებისთვის გვესიამოვნებინა, მაგრამ არ გამოგვივიდა, მეორე მატჩიც მოვიგეთ...

— როგორ, წაგება გინდოდათ და ვერ მოახერხეთ, მაგაზე ადვილი რა არის?

— გუნდის ხელმძღვანელებმა, მე, როლანდ გელოვანმა, ლიკა ქაჯაიამ და თამრიკო ბუილიშვილმა ვთქვით, ნეტავ, მასპინძლები მოიგებდნენ, კარგ ხასიათზე დავშორდებითო. ოღონდ, გოგოებს ხომ ვერ ვეტყოდით, წააგეთო. ამიტომაც არ ვითამაშე, ეგებ ბაქოელებმა რამე ქნან-მეთქი.

— აბა, გაგინაწყენებიათ აზერბაიჯანელები და ეგაა...

— ძალიანაც არ უდარდიათ, უნდა გენახათ, ბანკეტზე რა ამბავში იყვნენ, ჩვენი გოგოების ცეკვა-სიმღერებმა ყველა აღაფრთოვანა. სხვათა შორის, დიდებული, ხიზილალითა და ნაირგვარი თევზეულით სავსე სუფრა გაიშალა. ის კი არა, რამდენიმე გოგოს არ გვატანდნენ, „ნეფჩიში“ დავიტოვებთო. ოთხი ჩვენიანის ამ გუნდში გადასვლის ამბავი მალე უნდა გაირკვეს.

— ჩვენი ნაკრების სამომავლო გეგმები როგორია?

— ეს კითხვა მეც მაქვს კალათბურთის ფედერაციასთან. სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება, ხოლო მასში მონაწილეობა ჩვენმა ფედერაციამ ორი წლის წინ იუარა. არ ვიცი, შესაძლოა, კომერციულ ტურნირებში მივიღოთ მონაწილეობა. თუ ცალკე გუნდის გაყვანას ვერ შევძლებთ, პროექტი არსებობს და ეგებ ამიერკავკასიის ნაკრებით ვიასპარეზოთ ამ ტურნირებში. ამიერკავკასიის ნაკრებში ჩვენი და აზერბაიჯანელი გოგონები ითამაშებენ, სომხები იუარებენ აზერბაიჯანელებთან თამაშს და იმიტომ.

— რა პროექტია და ვინ უნდა დაამტკიცოს?

— გვაქვს იდეა, რომ ფიბა-ს განვითარების პროგრამაში ამიერკავკასიის რეგიონიც ჩავრთოთ. ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, კონკრეტულ ნაბიჯებს ალბათ სექტემბერში გადავდგამთ, როცა საბერძნეთში ქალთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება და იქ მყოფ ფიბა-ს ხელმძღვანელებს შევხვდებით. ალბათ იქ იქნება ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი, ფიბა-ს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ლიპარტელიანი, ვისი დახმარების იმედი გვაქვს.

ირაკლი ბერტაია

საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები



ზაზა ფაჩულია

ამაღამ ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენი“ 2003 წლის დრაფტს მასპინძლობს. ცერემონია ნიუ იორკის დროით 26 ივნისს 19 საათზე იწყება, ჩვენი დროით კი 27 ივნისს დილის 4 საათზე. აქედანვე ჩანს, დრაფტი ხმაურიანი იქნება, რადგან „მედისონ სკვერში“ იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოეფინება, რომ სამ დრაფტს ეყოფა. არიან ამერიკელებიც და არიან პერსპექტიული ევროპელებიც. ბევრი უცხოელი ამერიკულ საკალათბურთო წრეებში უკვე დრაფტამდე. გაიცნეს, ისევე, როგორც დენვერში შარშან დრაფტამდეც იცოდნენ, ვინ იყო ცქიტიშვილი (ცოტა მისი გვარის წარმოთქმა უჭირდათ), ახლა დეტროიტში აქვთ ფართო წარმოდგენა, ვინაა დარკო მილიჩიჩი, რაკი მეორე არჩევნის მქონე „დეტროიტ პისტონზი“ სწორედ ამ სერბ ბიჭს დაადებს ხელს.

ამ დრაფტზე შარშანდელის მსგავსად წლეულსაც გაიუღერებს ქართული სახელ-გვარი — ზაზა ფაჩულიას სავარაუდოდ პირველი წრის ბოლოს აირჩევს რომელიმე გუნდი



ვლადიმერ ბოისა

ორი ქართველი ოცნების რიგში

ზაზა ფაჩულია 2003 წლის დრაფტზე

ნიკა ცქიტიშვილისგან განსხვავებით, ზაზა ფაჩულიას წარმოდგენა არა აქვს, რომელ გუნდში შეიძლება აღმოჩნდეს. ზაზა ნაკლები რეკლამით ჩავიდა ამერიკაში და ცდილობს, წინასადრაფტო ვარჯიშებზე გააცნოს თავი სპეციალისტებს. მან რამდენიმე ასეთ ვარჯიშში, ვორქაუთში მიიღო მონაწილეობა ნიუ იორკში და შემდეგ ლოს ანჯელესშიც, ახლა კი კვლავ ნიუ იორკშია და დღევანდელ სალამოს გულის ფანცქალით ელის.

211-სანტიმეტრიანი და 113-კილოგრამიანი 19 წლის ქართველი რამდენიმე გუნდს სურს. მათ შორის შეიძლება ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი“ დავასახელოთ. დევიდ რობინსონის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ „სფურზი“ ხეირიან ცენტრს ეძებს, თან უარს არ იტყოდა უცხოელზე, რაკი რამდენიმე წარმატებული უცხოელი ჰყავს (ფრანგი ტონი პარკერი, არგენტინელი მანუ ჯინობილი და მონღოლი მენკე ბატირი). მაგრამ „სან ანტონიოს“ ეგებ არც შეხვდეს ფაჩულია, რადგან „სფურზი“ 28-ე არჩევანს ფლობს, ზაზას კი, არაა გამორიცხული, მანამდე სხვა კლუბი დაეპატრონოს, მაგალითად, 24-ე არჩევნის მქონე „ლეიკერსი“.

რა იციან ფაჩულიაზე „ლეიკერსში“? ყოფილი ჩემპიონების მწვრთნელები „მზვერავთა“ (სკაუტთა) ზოგადი პატაკის გარდა ქართველზე ვიზუალურადაც შეიქმნიდნენ წარმოდგენას. ფაჩულიამ როგორც შარშან, ისე წლეულსაც ჩაატარა „ვორქაუთი“ მათ თვალწინ.

მზვერავთა ზოგად პატაკში კი ზაზა ფაჩულიაზე შემდეგი სწერია — „არის დიდი და ზომის კვალობაზე საკმაოდ მოქნილიც. მოძრაობს კარგად, მაგრამ არც ძალიან სწრაფად. უკვე ბევრი კარგი თვისება აქვს, კარგი მომხსნელია და აქვს დაფარების ალღო. არის ფუნდამენტური მოთამაშე, აკეთებს ყველაფერს, მაგრამ განსაკთრებით კარგად არაფერს. თუმცა სიდიდის მიუხედავად, შესანიშნავად ატარებს ბურთს და საკმაოდ კარგად ესვრის საშუალო მანძილიდან. თურქეთის ლიგაში 15 წლიდან თამაშობს უმაღლეს დონეზე, მაგრამ შეზღუდული დროით. აპირებდა 2002 წლის დრაფტში მონაწილეობას, მაგრამ ამოეწერა სადრაფტო სიიდან.“

ზაზა ფაჩულიაზე ზოგადად ასეთი აზრი იკვეთება — ამერიკული სტანდარტებით ის არის კარგი მონაცემების ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც დრო და შანსი სჭირდება ძლიერ კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად. ნიკა ცქიტიშვილს „დენვერში“ მიეცა ეს შანსი, გაულიმებს ბედი ზაზა ფაჩულიას?

ვლადიმერ ბოისა

დრაფტში მეორე ქართველი ვოვა ბოისაც მონაწილეობს, მხოლოდ ექსტერნად, დაუსწრებლად. ვოვა ევროპაშიც კმაყოფილია და, სიმართლე ითქვას, ჩამოყალიბდა კიდეც ევროპული ყიდის მოთამაშედ. ვოვა არც ჩასულა ამერიკაში, თუმც მისი გვარი მაინც შეტანილია დრაფტის სიაში და თუ ვინმე მსურველი გამოჩნდა, შეუძლია კიდეც მისი არჩევა.

ბოისას მას შემდეგ აუცრუვდა გული ნბა-ზე, რაც ცხადი გახდა, რომ დრაფტის პირველ რაუნდში არავინ აირჩევდა. ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა“ სურვილი გამოთქვა — ბოისას მეორე წრეში ავიყვან (46-ე ნომერი უწევს) და გუნდში მე-12 კაცად მეყოლებაო, მაგრამ ვოვას არ სურს გაღმა გასვლა მხოლოდ სკამზე დასაჯდომად. თუ „დენვერი“ მაინც აირჩევს მას და ბოისას ოდესმე მოესურვება ნბა-ში წასვლა, მასზე უფლებებიც სწორედ „დენვერს“ ექნება.

თავისთავად ცხადია, არ გამორიცხება, რომ ბოისა ამ დრაფტზე შეიძლება სხვა რომელიმე კლუბმაც აირჩიოს.

ბოისა არ მოქცეულა სხვა ევროპელებივით და არ ამოეწერა მოდრაფტეთა სიიდან, რადგან ასაკი არ აძლევს ასეთი ფუფუნების საშუალებას, ის 22 წლისაა. მასზე ასაკოვნებისთვის კი დრაფტის კარი ჩარაზულია. ასე რომ, მომავალ სეზონში ბოისამ სულ რომ გადახუროს ევროპა, სადრაფტო სიაში მაინც არ შეიყვანენ.

კარგი მომავალი სეზონის და ევროპაში მეტად გამოჩენის იმედი აქვთ ბოისაზე ახალგაზრდებს, ამიტომ ბევრი ამოეწერა სადრაფტო სიიდან. ასე მოიქცენენ 225-სანტიმეტრიანი რუსი გოლიათი, 18 წლის პაველ პოდკოლზინი (მომავალი წლის დრაფტში ის შესაძლოა პირველ სამეულში მოხვდეს), 21 წლის აგრეთვე რუსი, თბილისში „ავტოდორს“ ჩამოყოლილი ვიქტორ ხრიაპა, „ბენეტონში“ მანუჩარ მარკოიშვილის სლოვენიელი თანაგუნდელი კრეშიმირ ლონჩარი, „ბარსელონის“ ბარზილიელი თავდამსხმელი ანდერსონ ვარეშაო და სხვები. შარშან სწორედ ამათ მსგავსად მოიქცა ზაზა ფაჩულია.

ლებრონ ჯეიმსი

„მას დაუჯერებელი პოტენციალი აქვს“ — ამბობს მაიკლ ჯორდანი 18 წლის ოჰაიოელ ბიჭუნა ლებრონ ჯეიმსზე. ლებრონზე არამარტო ჯორდანი გამოთქვამს აზრს, არამედ ყველა, ვისაც ამერიკულ კალათბურთში სიტყვა ეთქმის. ჯეიმსი ამერიკაში ისევე პოპულარულია, როგორც, ვთქვათ, დევიდ ბექემი ევროპაში. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ჯეიმსს ჯერ არსად უთამაშია მშობლიურ ქალაქ აკრონის სკოლის გუნდის გარდა. მას ფეხდაფეხ დასდევენ ჟურნალისტები და მის ყოველ ნაბიჯს ამცნობენ ხალხს... სპორტული საქონლის უმსხვილესმა მწარმოებელმა „ნაიკმა“ რამდენიმე კვირის წინ მას 90-მილიონიანი და შვიდწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ეჭვის ნასახიც არ არსებობს, რომ ამ 201-სანტიმეტრიან და 110-კილოგრამიან ჯეელს მისი შტატის, ოჰაიოს ერთადერთი ნბა-ური კლუბი „კლივლენდი“ აირჩევს, რომელიც, მისდა ბედად, ფლობს კიდეც პირველ არჩევნის უფლებას. ეს ფენომენიც სწორედ მას შეხვდება. ექსპერტები ამბობენ, ჯეიმსი მაიკლ ჯორდანსა და მეჯიქ ჯონსონს შორის რაღაც საშუალოაო, ხალხი კი მას უკვე აქედანვე სთხოვს, „კლივლენდი“ პლეი ოფში გაიყვანოს. „კლივლენდი“ კი ბოლო სეზონის უარესი გუნდია და პლეი ოფი ბოლო ხუთი წელია, თვალით არ უნახავს.

ამხელა ყურადღებამ შეიძლება ნებისმიერი, მით უმეტეს, 18 წლის ბიჭი შეარყიოს, მაგრამ ლებრონ ჯეიმსი თავდაჯერებულობას არ კარგავს და ელის დრაფტს, სადაც მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. ის გახდება 2003 წლის დრაფტის პირველი ნომერი, ხოლო ეს დრაფტი ისტორიაში შევა, როგორც ამ მომავალი სუპერვარსკვლავისთვის ნბა-ში კარის შემღები.

დარკო მილიჩიჩი

ლებრონ ჯეიმსი რომ არა, სერბია-მონტენეგროელი 213-სანტიმეტრიანი 18 წლის გოლიათი დარკო მილიჩიჩი ამ დრაფტის პირველი ნომერი გახდებოდა, ახლა კი ის მეორე იქნება და ნბა-ურ კარიერას „დეტროიტ პისტონზში“ დაიწყებს. „დეტროიტში“ სჯერათ მისი, დარკოსთვის ლებრონზე ბევრად ნაკლები მონაცემები როდი მიუცია ბუნებას. მილიჩიჩი ხუთიდან სამ ამპლუაში თანაბრად ძლიერია და ამხელა ტანის მიუხედავად, თავს პერიმეტრზეც ისევე შინ გრძნობს, როგორც ფარქვეშ. მასზე ამბობენ, დირკ ნოვიცკიზე და პაუ გასოლზე მეტად ნიჭიერია და გაცილებით მრავალფეროვანი არსენალი აქვსო. ვნახოთ, მისი თამაში ჯერ ბევრსაც არ უნახავს. მილიჩიჩი მანამდე იუგოსლავიურ „ჰემოფარმაში“ თამაშობდა.

„დეტროიტს“ ერთი სული აქვს, ეს ჭაბუკი თავისთან დაიგულოს და წყალი არ გაუვა, დრაფტზე კუთვნილ მეორე ნომერს სწორედ მასზე დახარჯავს. ისე, დარკოს დასაპატრონებლად დეტროიტელთა ბოსებს იუგოსლავიელებთან არცთუ ტკბილი დიალოგის გამართვა მოუწევთ. „ჰემოფარმა“ მილიჩიჩის პატრონია 2009 წლამდე და სულაც არ სურს, ამ ზეპერსპექტიულ ჭაბუკს მუქთად შეელიოს.

პარმელო ენტონი

უკვე გადაწყვეტილია მესამე ნიჭიერი მოდრაფტის კარმელო ენტონის ბედიც. სტუდენტური ლიგის ჩემპიონი სირაკუზის ყოფილ ლიდერს მესამე არჩევნის მქონე „დენვერ ნაგიტსი“ დაეპატრონება. 201-სანტიმეტრიანი მსუბუქი ფორვარდი ენტონი ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელი რომ გახდება, იქიდანაც ჩანს, რომ „დენვერ ნაგიტსის“ გასახდელი ოთახის კარზე ძველი დენვერელების გვერდით უკვე ამოტვიფრულია მისი სახელ-გვარი.

რა ბედი ეწევათ ამ სამის გარდა სხვებს და ვის ხელში ჩაცვივდებიან, ეს ჯერ არავინ იცის. ყველაფერს დრაფტი გაარკვევს. დაველოდოთ დრაფტს, რომლის დაწყებამდეც სულ რამდენიმე საათიღა დარჩა.

ირაკლი ფირაჯვილი



ლებრონ ჯეიმსი



დარკო მილიჩიჩი

2003 წლის დრაფტის არჩევნები

პირველი წრე

1 ჯლივლენდი – (ლებრონ ჯეიმსი)
2 დეტროიტი – (დარკო მილიჩიჩი)
3 დენვერი – (კარმელო ენტონი)
4 ტორონტო – ?
5 მაიამი – ?
6 ჯლიპერსი – ?
7 ჩიკაგო – ?
8 მილუოკი – ?
9 ნიუ იორკი – ?
10 ვაშინგტონი – ?
11 გოლდენ სტეიტი – ?
12 სიეტლი – ?
13 მემფისი – ?
14 სიეტლი – ?
15 ორლანდო – ?
16 ბოსტონი – ?
17 ფინიქსი – ?
18 ნიუ ორლეანი – ?
19 იუტა – ?
20 ბოსტონი
21 ატლანტა
22 ნიუ ჯერსი
23 პორტლენდი
24 ლეიკერსი
25 დეტროიტი
26 მინესოტა
27 მემფისი
28 სან ანტონიო
29 დალასი

} ფაჩულია ?

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დიდი ფაცაფუცია. ოლიმპიური მოძრაობის მმართველი ორგანო არჩევნებისთვის ემზადება, ზუსტად ერთი კვირის თავზე, 2 ივლისს, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მოწყობილ პრეზენტაციაარჩევნებზე სოკ-ის აღმასკომი სამი ქალაქ-კანდიდატიდან აირჩევს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელს

კანდიდატები კი გახლავან ავსტრიული ზალცბურგი, სამხრეთკორეული პიონჩანგი და კანადური ვანკუვერი



ჰერმან მაიერი



არნოლდ შვარცენეგერი

ჰერმინატორი და ტერმინატორი ავსტრიას მხრებში შეუდგნენ

სამივე ქალაქი მზადაა კენჭისყრის მოსაგებად და მათგან არავინ ჩამოიწერება. თუმც სამეულს ფავორიტიც ჰყავს და ეს ზალცბურგი გახლავთ, რომელსაც ძლიერი მხარდამჭერები უმაგრებენ ზურგს.

ავსტრიულ ქალაქს, რომელმაც კაცობრიობას მოცარტი აჩუქა და სადღეისოდაც ევროპის ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, ახლა ერთი წლით ზამთრის სახეობების სპორტულ დედაქალაქად ქცევა გადაუწყვეტია. მითან ავსტრიაში უყვართ თავლიანი სახეობები, განსაკუთრებით კი სამთო თხილამურობა, რაშიც მათ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ. ზალცბურგის შორიახლოსაა სამთო კურორტი კიცბიუელი, რომლის სწრაფდაშვების ტრასა იქნებ საუკეთესოცაა მსოფლიოში.

ბოლო წლების უძლიერესი სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერი, „ჰერმინატორად“ წოდებული ზალცბურგს მომავალ კვირას წარადგენს პრაღაში, სადაც არჩევნებამდე შედგება კანდიდატი ქალაქების გენერალური პრეზენტაცია. თითქმის გადაწყვეტილია, რომ პრაღაში „ჰერმინატორს“ მხარს „ტერმინატორი“, არნოლდ შვარცენეგერი დაუმშვენებს, რომელიც, მოგეხსენებათ, წარმოშობით ავსტრიელი გახლავთ და თუმც, კარგა ხანია, თითქმის გაამერიკელდა, გენეტიკურ სამშობლოსაც არ ივიწყებს. „არნოლდი თუმც ამერიკაში ცხოვრობს და შოუს სამყაროში მოღვაწეობს, აღზრდით და სულით მაინც სპორტსმენია და ჩვენია“ — ამბობს ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ლეო ვალნერი.

ზალცბურგის კანდიდატურას სოკ-ის აღმასკომის წევრთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს და ვალნერს სჯერა, რომ მათი რიცხვი ამ დღეებში გაიზრდება: „არჩევნებში მონაწილეთა 80-90 პროცენტმა უკვე გადაწყვიტა, ვის მისცეს ხმა. დანარჩენები კი, რომლებიც ჯერაც ფიქრობენ, სავარაუდოდ ზალცბურგს მოემხრობიან ბევრი ობიექტური მიზეზის გამო.“

ზალცბურგს ობიექტური პლუსები კი მართლაც ბევრი აქვს. ქალაქს, რომელიც მთლიანად დიდი და ლამაზი სასტუმროა, აქვს მასშტაბურ ღონისძიებათა მასპინძლობის კოლუსალური გამოცდილება და ისეთი ინფრასტურქტურა, რომ 2010 წლამდე დარჩენილი დროის მესამედში კი მოამთავრებდა მოსამზადებელ სამუშაოებს. ყველაფერ ამას კი ზურგს უმაგრებს ქალაქის თავზე წამომდგარი ულამაზესი ალპები, რომლის კალთებიც პირდაპირ დაქსელილია სათხილამურო ტრასებით.

„ავსტრია მსოფლიოში საუკეთესო ადგილია, ზამთრის ოლიმპიადის, განსაკუთრებით კი სამთო თხილამურობის სამასპინძლოდ — ამბობს ამერიკელი მოთხილამურე, 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ორი ვერცხის მომხვეჭი ბოდე მილერი — იქ შეჯიბრს განსაკუთრებული ხიბლი აქვს და მაყურებელიც გამორჩეულია. იქ იდეალური პირობებია ოლიმპიადის სამასპინძლოდ.“

მაგრამ არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორებიც და პირველ რიგში ესაა ოლიმპიური პოლიტიკა. სოკ-ში ბევრი არ ემხრობა ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიადების ერთსა და იმავე კონტინენტზე ჩატარების იდეას. თუკი ზალცბურგი 2010 წლის ზამთრის თამაშებს უმასპინძლებს, დიდი შანსია, ორი წლის შემდგომი ზაფხულის თამაშები ევროპაში აღარ გაიმართოს. არადა, 2012 წლის თამაშების სამასპინძლოდ იბრძვიან ისეთი გიგანტი „ევროპელები“, როგორებიც არიან ლონდონი, პარიზი და მოსკოვი, რომ არაფერი ვთქვათ მადრიდსა და ლაიფციგზე. ასე რომ, ამ მონსტრების ზეწოლაში ზალცბურგი შეიძლება უბრალოდ, გაიჭყლიტოს. თანაც 2010 წლის ოლიმპიადის წინამორბედი, 2006 წლის თამაშებიც ხომ ევროპაშია და მით უმეტეს, იტალიურ ტურინში, რომელიც იმავე ალპების დალოცვილი კალთებით სარგებლობს, რომლითაც ზალცბურგი.

ასე რომ, წინასაარჩევნო ინტრიგა არსებობს და ყველაფერი ალბათ ისევ და ისევ კანდიდატი ქალაქელების მამების მარიფათზეა დამოკიდებული.

ფიფქია ზამთარაძე

რა არის ნოკაუტი? ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა

ულიჩკო ლუისს ჯაი ჩიტებს გამოსტყუებს

ვიტალი კლიჩკო ამბობს, რომ არაფერი სტკივა ლენოქს ლუისთან მარცხის შემდეგ, არც წარბი და არც ღაწვი და მხოლოდ ოდნავ ეწვის ტუჩები მაშინ, როცა ცოლს კოცნის.

კლიჩკო, რომელმაც გასულ შაბათს საბჭოსა (ვბო) და ორგანიზაციის (იბო) ქამრებისთვის ბრძოლა წააგო ჩემპიონ ლუისთან, აცხადებს, რომ თვალის ტრავმა, რომლის გამოც ბრძოლა შეწყვიტეს და წაგება ჩაუთვალეს, სერიოზული არ ყოფილა.

— არაფერი მტკივა, — უთხრა გერმანიაში ჩასულმა კლიჩკომ გერმანულ „ბილდს“ — ყველა კბილი ადგილზე მაქვს.

ლუისი კი ნაწყენი ყოფილა კლიჩკოზე, ბრძოლის მერე ის როგორ თქვა, ლუისმა წარბი მუშტით კი არა, ვერაგი თავურით გამიხეთქაო. სამოცი ნაკერი, რომელიც კლიჩკოს დასჭირდა სწორედ ლუისის ჯების შედეგი იყო, თუმც სამშვიდობოს გასული კლიჩკო კვლავ ძველს იმეორებს: „მან თავი მაძგერა. ასე რომ არ მოქცეულიყო, ნოკაუტში ჩავაგდებდი. მისი დარტყმები მხოლოდ გარეგნულადაა ძლიერი, ბევრი ვერაფერი დამაკლო. როცა მაგარი მოგხვდება, ყველაფერი ტრიალებს და ჩიტების გალობა გესმის, მე კი ასე არ დამმართნია...“

თუ რემატჩი გაიჩარხა, კლიჩკო უეჭველად გამოსტყუებს ლუისს ჩიტების გალობას.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ფორმულა ფულის პოდიუმზე

მიხაელ შუმახერს და ბერნი ეკლსტოუნს საჭმე აწყობილი აქვთ

FORMULA 1

ინგლისურმა ჟურნალმა „ნიუს ოფ ზე ულდ-დმ“ უმდიდრეს ადამიანთა მორიგი სია გამოაქვეყნა. ყველაზე სქელჯიბიან ბრიტანელთა რეიტინგში ვესტმინსტერის ჰერცოგისა და ჰანს რაუზინგის შემდეგ მესამეა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი. ფორმულა 1-ის 72 წლის ბოსს ანგარიშზე 2,6 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (4,2 მილიარდი დოლარი) უდევს.

ყველაზე შეძლებულ მეფორმულეთა ცალკე ათეულში ეკლსტოუნის შემდეგ მოდიან „მაკლარენის“ თანამფლობელი მანსურ ოიეჰი, „ზაუბერის“ სპონსორ მატონიზირებელი სასმელების ფირმა „რედ ბულის“ მფლობელი დიტრიხ მატეშიცი, პატრიკ მაკნეილი (ჟურნალი „ოლსპორტი“), „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო, რომელმაც თავისი გუნდის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონობისთვის „სკუდერიის“ ხაზინიდან მხოლოდ პრემიის სახით თითქმის 20 მილიონი დოლარი მიიღო. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი 250 მილიონი გირვანქით მეექვსე ადგილზეა.

აწ უკვე პენსიონერი ირლანდიელი პილოტი ედი ირვინი მეშვიდეა 170-მილიონიანი შეძლებით, რომლის უდიდესი ნაწილიც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვითა და ბირჟაზე თამაშით დააგროვა. ათეულის ბოლოს არიან ლეგენდარული კომენტატორე ენცო ფერარის ვაჟი პიერო ლარდი-ფერარი, „მაკლარენის“ მეპატრონე რონ დენისი და „სამეფო რბოლების“ პატრიარქი, „უილიამსის“ თანამფლობელი სერ ფრენკ უილიამსი.

მონტოიას საჭე წაართვეს



ხუან პაბლო მონტოიას ფეთიანი ჯირითი ძვირად დაუჯდა

თითქმის თვენახევარი მოანდომა საფრანგეთის სასამართლომ ფორმულა 1-ის პილოტ ხუან პაბლო მონტოიას საქმის განხილვას. „უილიამსის“ კოლუმბიელი მრბოლი საგზაო პოლიციამ 12 მაისს დააკავა ფრანგულ რივიერას ავტომაგისტრალზე დასაშვები სისწრაფის 80 კილომეტრით გადაჭარბებისთვის. ხუანი და მისი მეუღლე კონი BMW-ს ჯიპით შინისკენ, მონტე კარლოსკენ 204 კმ/სთ სიჩქარით მიქროდნენ. დამნაშავემ თავი კი იმართლა, 120-ით როგორ მევლო, როცა მანქანა საათში 240 კილომეტრს ავითარებსო, მაგრამ წესის დარღვევისთვის მართვის მოწმობაც ჩამოართვეს და სოლიდური თანხაც ააფცქვნეს.

თუმც ინციდენტი ამით არ დასრულებულა. ქალაქ დრაგინიანის სასამართლომ „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთ საუკეთესო მძღოლს საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოუტანა — 1200 ევრო ჯარიმად და ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია. მონტოია სწორედ ამდენი ხნით ვერ გაეკარება საჭეს საფრანგეთის გზებზე. ვერდიქტი, ცხადია, არ ვრცელდება მის სამსახურზე, რადგან საფორმულო ბოლიდის მართვისთვის განსაკუთრებული ლიცენზიაა საჭირო. ასე რომ, ხუანი ათი დღის შემდეგ მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებაში, ოღონდ მანი კურის ავტოდრომამდე ოჯახური მანქანით, ალბათ, კონი მიიყვანს.

ეს მონტოიასთვის პირველი შემთხვევაა, მისი თანაგუნდელი რალფ შუმახერი კი მსგავს შარში არაერთხელ გახვეულა ავსტრიაში, სადაც ამჟამად ბინადრობს.

რუსული სექსგანთიადი

მარია, შენი კვნესა მე



მარია შარაპოვა

ამქრის პირველჩოგნოსანმა, 33 წლის ჯადო არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ თავისი მე-13 უიმბლდონობა ბრიტანელთა რანგით მე-9, მსოფლიო რეიტინგსიის 456-ე საფეხურზე მდგომი ჯემი დელგადოს ძლევით 6:4, 6:0, 5:7, 6:4 დაიწყო.

წინააღმდეგ მოლოდინისა, აგასის იოლი გამარჯვება არ რგებია. მართალია, 26 წლის დელგადო უსახელო მეჩოგნეა და ასაკისთვის შესაფერ საჩოგბურთო ღირსებებსაც ნაკლებად მოიძევს, მაგრამ საკუთარი პუბლიკის წინაშე შერცხვენა არც მან ისურვა — რვაგზის სლემტიტულოსან მეტოქეს კაცურად ედავა და ერთი სეტიც გააგდებინა. ერთადერთი ხელი, სადაც მათი რანგობრივი სხვაობა აშკარაზე მეტადაც გამოჩნდა, მესამე იყო. შებერებულმა ფაკირმა ამ ხელში დელგადო პირწმინდად, 22 წუთში გააბუბლიკა.

მატჩი პირველი მოწოდებიდან ორ საათში, სიმბოლურად გასრულდა — მატჩპოინტზე აგასიმ მეტოქეს მე-16 ეისი გადაუჭირა.

მერე კი იყო ოთხმხრივი ქედისმოხრანი და ლიანგისთვის ჰაეროვან კოცნათა დაგზავნა. ლიანგში — სხვათა შორის — ანდრეს მეუღლე შტეფი გრაფი და შტეფის დედა ჰაიდიც ერივნენ.

ჰო, აგასი ძალიან გახარებული იყო. ის შვიდჯერ წაფორხილებულა რაგინდარა სლემტურნირთა პირველ წრეში და იმიტომ. „სასტარტო მატჩის მოგება ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“ — ამბობდა ნამატჩევს.

„ბალახზე სულ დაძაბული ხარ, მანამ, სანამ მატჩს უკან არ მოიტოვებ.“

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კარიერის პირველი სლემჯილდო დიადმა არმენოამერიკელმა სწორედ ლონდონურ სეფეკონდარზე მოიმკა. ეს ამბავი 1992 წელს მოხდა.

სხვაფრივ: როლან გაროსის აკლებიდან სულ რაღაც ორი კვირის თავზე 23 წლის უჩაუქესი ესპანელი ხუან კარლოს ფერერა უდრტვინველად გაეჩვია მისი ჯიშის მეჩოგნეთათვის ტრადიციულად უხერხულ საფარს. მისკბილა უსახელო ფრანგი ჟან-რენ ლინარი, ვინაც მსოფლიოში რანგით 94-ე ჩოგანს აქნევს და იმ დღეს თავის სადებიუტო უიმბლდონურ მატჩს თამაშობდა, მან 81 წუთში 6:2, 6:1, 6:3 მოინელა.

ადგილობრივ მილეთს აამა ტურნირის ოთხგზის ნახევარფინალისტმა, 28 წლის კუნძულელმა ტიმ ჰენმანმა. თუმც მეტოქედ რეიტინგსიის ოდენ 154-ე ადგილოსანი, ჩეხი ტომაშ ზიბა ჰყავდა, ჰენმანი მაინც ფრთხილობდა, „მოაწოდე-მიეძალე“ ყაიდის ნაცვლად უკანახაზიდან ხათქუნს არჩევდა და საბოლოოდ უნაპერწკლოდ, მაგრამ მაინც დასტურ იმარჯვა 6:2, 7:6 (13:11), 3:6, 61.

2000 წლის მოულოდნელი ნახევარფინალისტის, ბელარუს ვლადიმირ ეოლჩკოვისთვის სეტიც არ დაუთმია შარშანდელ არანაკლებ მოულოდნელ ფინალისტ დავიდ ნალბანდიანს. თითქმის ყოველმესაფრე არმენოგაუჩომ უბრალოდ ჯანიან სლავს 7:5, 6:4, 6:2 მოუგო.

სანაცვლოდ — იძლევნენ შარშანდელი ნახევარფინალისტი, კიკინა ბელგიელი ქსავე მალისი, ვინაც სეტისმოუგებლად ჩაიფლავა ფრანგ სირილ სოლნიესთან 4:6,3:6, 2:6 და წლევანდელ როლანგაროსობაზე გამორჩეულნი — ფინალისტი, ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი და ნახევარფინალისტი არგენტინელი გილერმო კორია.

მეშვიდე ნომრად განთესილი კორია დღის ყველაზე მსხვილი მსხვერპლი გამოდგა. ამ 21 წლის ნიჭიერმა გაუჩომ წლეულს ბრწყინვალედ ითიხნარა — როლანგაროსობამდე ჰამბურგის ტურნირიც მოიგო და ბუენოს აირესსა და მონტე კარლოში ფინალებამდეც გააღწია. მაგრამ გაუტეხელ, იმ დღეს საოცრად აგრესიულად მოჩოგნავე ბელგიელ ოლივიე როხუსთან მან იმ დღეს ვერაფერი გააწყო. კლასიკურ ნაუკანახაზევ გლაჯუნში ბალახთან მეტად გაჩვეულმა ბელგიელმა 7:5, 7:6 (7:4), 6:3 იმარჯვა.

რაც შეეხება მე-18 ნომრად განთესილ ჰოტროველა ვერკერკს, რომელიც ჩვენი კლავიატურის არეში პარიზულ სეფეთიხნარზე ფინალამდე მიმყვანი გლაჯა-გლუჯის შედეგად მოექცა, 18 წლის შვედმა კვალიფიკანტმა, თავის პირველ უიმბლდონობაზე შეხეტიალებულმა რობინ სოდერლინგმა მოკვეთა 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 6:1. ვერკერკის ჯანის პატრონს თითქოს სწორედ ბალახზე უნდა გაეჩმახებოდეს, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი აქამდეც რომ ამბობდა, როლან გაროსის ფინალში მისი გასვლა შემთხვევითობა იყოო, იმდღევანდლის მერე ამას მეტი გულმოდგინებით გაიმეორებს.

დანარჩენი შედეგებიდან გამორჩევას იმსახურებს ჰოლანდიელ რაემონ სლოიტერის მიერ ორგზის სლემტიტულოსანი რუსი ვეტერანის, ევგენი კაფელნიკოვის ძლევა 7:5, 3:6, 2:6, 6:2, 6:3. ეს ხუთსეტიანი განდაგანა მთავარკორტზე გაიმართა და იქ შეკრებილი ფანობის შაბაშ მოწონებაც დაიმსახურა...

ახლა კი ქალთა განყოფილებას მივხედოთ.

შეიძლება ითქვას, რომ — თუკი უსახელო უნგრელ ანიკო კაპროშის მიერ მე-19 ნომრად განთესილი მეგენ შონესის 6:3, 6:2-ით გვემას არ ჩავთვლით — მდედრიონში არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა.

ამქრის მეპირველე ტიტულდამცველმა სერენა უილიამსმა კუნძულური მზეც კაცურად შეირგო, კუნძულელ ქომაგთა კეთილგანწყობაც და ამერიკელ ჯილ კრეიბასს სეტისწაუგებლად 6:3, 6:3 ავჯობა. ოღონდ — უმცროსი შავდა შიგადაშიგ არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ხოლო მისმა არანაკლებ ბეჭბრტყელმა მეტოქემ მას რამდენჯერმე ძალზედ მტკივნეულად უჩხვლიტა.

სერენა ნამატჩევს იმას ხაროობდა, რომ მყრალი პარიზული პუბლიკისგან განსხვავებით ლონდონურმა ის ძალზედ გულთბილად, ღირსეულად მიიღო, და ეს სიმართლე გახლდათ — რაკიღა ტრიბუნებმა მისი გამოჩენაც შემაგულიანებელი შეძახილებითა და ტაშიც აღნიშნეს და არც შეცდომებზე დაუყრიათ ქოქოლა...

როლანგაროსულ ნახევარფინალში მის მძლეველსა და მერე გაჩემპიონებულ ჟუსტინ ენენ-არდენს იმ დღეს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა. 19 წლის ზორბა უკრაინელმა იულია ვაკულენკომ მარცხენა ხელმტკივან ციდა ბელგიელს დიდი რამ ბრახუნი აუტეხა, მაგრამ ბასრმა ჟუსტინმა მის ამბიციებს აზღუდი დროზე ამოსდო და პირველში რომ მოგუდა, მეორეში უკვე ტიკინასავით აცუნდრუკა — 7:5, 6:1.

დანარჩენი მატჩები კი ლამის მთლიანად გადაჩრდილა 16 წლის რუსმა სექსგანთიადმა მარია შარაპოვამ, ვინაც ეროტიკული ქარიზმის გარდა მძლავრ, აგრესიულ სტილსაც მოიძევს და მასსავით ხორბლისფერა ამერიკელ ეშლი ჰარკლროუდს იმ დღეს 6:2, 6:1 მოუგო.

მარიამ შარშან იუნიორ გოგონათა ფინალს უწია და ანა კურნიკოვას მემკვიდრეთა ძიებაში დამაშვრალ ჟურნალისტებსაც თვალში მაშინ გაეჩხირათ. ჟურნალისტებს გოგო ისე მოეწონათ, რომ თვალებში ხელი არ ამოუსვიათ — ამიტომაც მის გრძელ ფეხებსა და აჯეჯილებულ ზედატანსაც ამ დღეებში არავინ მოგვაკლებს.

ჰო, მართლა — შარაპოვა ჩოგნაობისას ყურისწამღებად კვნესის და ლონდონშიც უკვე „კვნესის დედოფლად“ მონათლეს.

უწლოვანი გოგოსთვის ურიგო დასაწყისი არ უნდა იყოს.

ლევან კელაურაძე

ამბავ-ხაბარი

ვინუსს აღარ ეპოტერება



ორი წლის წინ, როცა ვინუს უილიამსმა ზედიზედ მეორედ მოიგო უიმბლდონი, ის თურმე ჰარი პოტერის ერთ-ერთ თავგადასავალს კითხულობდა. ლონდონურ წიგნის მაღაზიებში ახლა დიდი რიგებია — მკითხველები ჯადო-ბიჭუნაზე დაწერილ მეხუთე წიგნზე ნადირობენ. მაგრამ ვინუსს ჰარის ამბები აღარ ადარდებს. „ახლა უკვე 23 წლის ვარ და მხოლოდ ისეთ რამეებს ვყიდულობ, რაც ჩემს ცხოვრებას უფრო შინაარსიანს ხდის“ — ამბობს იგი.

ივო გემოზე გაიშოტა

უიმბლდონის პირველ წრეში ლეიტონ ჰიუიტის დამარცხებამდე 208-სანტიმეტრიანი ხორვატი ივო კარლოვიჩი რაღაც ქეციან სასტუმროში ცხოვრობდა. იქ ისეთი მოკლე საწოლი ჰქონდა, მთლიანად რომ დატეულიყო, სავარძელს და ჩანთასაც ხმარობდა.

ნაჰიუიტევს კი უკვე გემოზე გაშოტვაც შეუძლია — ფეშენებელურ ოტელში გადასულს არც საწოლის სიმოკლე აწუხებს და გემოზე განრთხმული მთელი დღე ვეებაეკრანიან ტელევიზორს მისჩერებია.

ნადალი რეალისტი ყოფილა

„ბარსასა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, მიგელ ანხელ ნადალის ძმისშვილი რაფაელ ნადალ-პარერა თავის ვუნდერჩოგნაობას უიმბლდონზეც განაგრძობს. პირველ წრეში ოყლაყი ხორვატის, მარიო ანჩიჩის ძლევის შემდეგ ის გამოტყდა: „როცა ბიძაჩემი „ბარსაში“ თამაშობდა, ბარსელონისტი ვიყავი, ხოლო იქიდან რომ წავიდა, ეგრევე „რეალის“ მხარეზე გადავედი. არა, „ბარსას“ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, რა ვქნა, „რეალი“ უფრო მევასება.“

გუშინ

კაცები

პირველი წრე

სებასტიან გროზანი (13, საფრანგეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:4, 7:6 (7:4)

მეორე წრე

რაინერ შიუტლერი (9, გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი** (4, შვეიცარია) — სტეფან კუბეკი (ავსტრია) 7:5, 6:1, 6:1; **ტოდ მარტინი** (აშშ) — გუსტავო კუერტენი (17, ბრაზილია) 7:6 (7:4), 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (12, ტაილანდი) — ოლივიე მუტუ (საფრანგეთი) 4:6, 1:6, 7:6 (7:4), 7:5, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (16, რუსეთი) 7:6, 7:5, 6:3, 6:2; **ტომი რობრედო** (25, ესპანეთი) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:4, 6:4, 6:2; **ენდი როდიკი** (5, აშშ) — გრეგ რუზედეკი (ბრიტანეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:1), 7:5; **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) — აგუსტინ კალერი (23, არგენტინა) 6:4, 6:4 (13:15), 6:2, 6:7 (5:7), 10:8; **ვიქტორ პანესკუ** (რუმინეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (32, არგენტინა) 6:2, 6:1, 6:4

ქალები

მეორე წრე

შინობუ ასაგოე (იაპონია) — დანიელა პანტუხოვა (9, სლოვაკეთი) 0:6, 6:4, 12:10; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) 6:1, 6:3; **ფრანჩესკა სქიავონე** (იტალია) — ამანდა კუტცერი (17, სამხრეთ აფრიკა) 4:6, 7:5, 6:4; **ნადია პეტროვა** (29, რუსეთი) — ანჯელიკ კერბერი (ინდონეზია) 7:6 (7:3), 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (27, იტალია) — მორენ დრეიკი (კანადა) 7:6 (7:3), 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (16, რუსეთი) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:3, 6:1; **ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:1; **ჩანდა რუბინი** (7, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:4, 6:4; **ნატალი დეში** (22, საფრანგეთი) — დია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:4; **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) — დენისა ხლადკოვა (30, ჩეხეთი) 6:3, 6:5; **აი სუგიამა** (13, იაპონია) — ევა ფისტოვა (სლოვაკეთი) 6:1, 7:6 (6:8), 7:5; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — მაგდალენა მალე

ცოლი ტერასაზე

უიმბლდონის ტერასებს ჯერჯერობით მზე ადგას. ბრიტანელი ჩოგბურთელის, ტიმ ჰენმანის მეუღლე ლუსი თვალმოჭუტული უმზერს ქმრის ჩოგანბურთაობას ჩეხ ტომაშ ზიბთან.

REUTERS ლონდონიდან

REUTERS ბაღდადიდან

ერაყმა გაანადგურა

REUTERS ბაღდადიდან

ბაღდადში ფეხბურთი იყო: ერაყელთაგან შეკრებილმა გუნდმა უთანასწორო ბრძოლაში 11:0 მოუგო ამერიკის პირველი ბრიგადის ჯარისკაცების გუნდს. ამერიკელი ჯარისკაცები გვარიანად დაღლილნი ჩანდნენ, პირველი ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა მაიკლ ტაკერმა კი ერაყელ მობურთალებს გამარჯვება მიულოცა.

ენდრიუ ბურთით

ბრიტანეთის პრინცი ენდრიუ ტორონტოში ყოფილა რაღაც საქველმოქმედო სადილზე და იქ ტრადიციულ საბეისბოლო საქმეში ჩართულა: ტყორცნით გაუხსნია „ტორონტო ბლუ ჯეიზისა“ და „ბალტიმორ ორიოლსის“ თამაში.



REUTERS ტორონტოდან



REUTERS იოკოჰამადან

ვერ მოერია

იოკოჰამაში უმცირესი წონის საჩემპიონო კრივი გაიმართა. იაპონელი კეიტარო ჰაშინა ბევრს ეცადა, რომ საბჭოს (ყბკ) მექსიკელი ჩემპიონი ხოსე ანტონიო ავირე დაემარცხებინა, მაგრამ ბრძოლის მეთორმეტე რაუნდში თავად ჩავარდა ნოკაუტში და ქამარი ჩემპიონს დაუტოვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიზრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორელიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ბაჩა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუსაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, ალბაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორაუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge